ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

აგვისტო, 1936 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | ფასი 50 კაპ. | № 14

ართველოს საბჭოთა მწერლების წერილი

ალხთა დიდ ბელადს ამხ. სტალინს

ვენო ბრძენო ბელადო და საყვარელო მასწავლებე-
ამხ. სტალინ!

ვენი დიდი სამშობლოს და მთელი ქვეყნის მშრომელთა უდიდე-
არულის დღეებში, როცა შენი გენიით შთაგონებული საბჭოთა
რის ახალი კონსტიტუციის პროექტით აღფრთოვანებული მასები
მელი სიამაყის გრძნობით შეჰხარიან თავის გმირული ბრძო-
ა და დაუღალავ შრომის ხორცშესხმულ შედეგს, უდიდესი სიყ-
ის და მადლობის გრძნობით შემოგყურებენ შენ —ჩვენი გამარჯ-
, ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემოქმედსა და სულის ჩამდგმელს
გავიგეთ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ავაზაკური ბანდის უმაგა-
ად მუხანათურ და მოღალატურ საქმეთა შესახებ.

ათ მოჰკლეს ჩვენი სამშობლოს საამაყო შვილი, პროლეტარული
უციის მგზნებარე ტრიბუნი და შენი ერთგულესი თანამებრძო-
რგეი მირონის-ძე კიროვი. და ამის შემდეგ თავისი ავაზაკური, სი-
გასვრილი ხელები აღმართეს იმის მოსასპობად, რაც ყველაზე
საყვარელი და უძვირფასესია ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფ-
მშრომელი ხალხისთვის. ეს არის შენი სიცოცხლე ჩვენო საყვა-
მასწავლებელო, ყველა ქვეყნის მშრომელთა ხალხის იმედო და
ძვირფასო სტალინ!

ალხის მოსისხლე მტრებმა, იდეურად და მორალურად განა-
ებულმა ჯალათებმა, მოინდომეს მოეკლათ შენი სახელოვანი თა-
რძოლები, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის რკინისებური ხელ-
ნელები.

ალხის მოსისხლე მტრები, მთლიანად მხილებულნი და
ვლებული წარსდგენ პროლეტარულ მართლმსაჯულების წი-
და იძულებულნი გახდნენ საქვეყნოდ აღიარებიათ თავიანთი უმა-
ოდ თვალთმაქცური გახრწნილი და მუხანათური ზრახვები. უდი-
გულისწყრომით და ზიზღით ისმენდა ჩვენი სამშობლოს ხალხი ამ
ართა საზიზღარ სიტყვებს. უსაზღვრო იყო და არის ჩვენი აღშ-
ბა და რისხვა ამ ნიღაბახდილ ჯალათების მიმართ და იმდენად
აზღვროა ჩვენი კმაყოფილება პროლეტარულ სასამართლოს განა-
გაში, რომელშიაც მთელი სიძლიერით გამოიხატა ხალხის ნების-
ხალხის ერთსულოვანი სურვილი და მოთხოვნა.

ზიზღარ ბოროტმოქმედთა ბანდა გასრესილია პროლეტარული
უციის რკინის ქუსლით, მკვლელობათა და ტერორის წყეული
იზატორები აღიგავნენ პირისაგან დედამიწისა.

ვენ, საქართველოს საბჭოთა მწერლებს, რომლებიც უსაზღვრო ბედ-
ვართ შენი გენიით განათებულ დიად ეპოქაში ცხოვრებით და შე-
ებით, გვინდა მოგმართოთ შენ, სოციალიზმის გენიალურო
მოძღვარო ჩვენი შენდამი თავდადებულ ერთგულებისა და გა-
ელი სიყვარულის უმხურვალესი გრძნობებით.

ტყვას გაძლევთ, რომ მთელ ჩვენს ნიჭს, ძალას და ენერგიას და
ჭირო იქნება მთელ ჩვენ სიცოცხლესაც შევწირავთ სოციალიზ-
იად საქმეს, —ლენინ-სტალინის უძლეველ საქმეს.

ა და ზიზღი ტროცკისტ-ზინოვიეველთა განადგურებულ ბან
ის სახელს.

იდება მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზა-
ლენინ-სტალინის დიად პარტიას.

აუმარჯოს ხალხთა უსაყვარლეს ბელადს, ჩვენს ბრძენ მასწავლე-
დიდ სტალინს.

**საქართველოს საბჭოთა მწერლების საერთო კრების მონდობი-
ით:**

აკ. თათარიშვილი, გ. ტაბიძე, დუტუ მეგრელი, ა. მა-
ვილი, კ. გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო
ელი, პ. მ. საყვარელიძე, დ. დემეტრაძე, ბ. ჟღენტი, ვ.
რინდაშვილი, გ. ლეონიძე, ი. აბაშიძე, გ. ბუაჩიძე, გ.
ნიკაშვილი, რ. გვეტაძე, ვ. გორგაძე, ს. მთვარაძე, ნი-
ლოზ მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, პავლე იაშვილი.

აქ. საბჭოთა მწერლების წერილი

ამხ. ლავრენტი ბერიას

ძვირფასო ამხ. ლავრენტი!

ქართველოს საბჭოთა მწერლები უდიდესი კმაყოფილების გრძნო-
დებიან იმ სავსებით სამართლიან განაჩენს—დახვრეტას, რომე-
თელმა ჩვენმა ქვეყანამ გამოუტანა მშრომელი ხალხის დაუძინე-
ტრებს ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბანდას. უსაზღვროა ხალხის
წყრომა, სასტიკია მისი რისხვა.

სამართლიანი განაჩენი სისრულეში მოყვანილია.

ეთი იყო დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა გარდაუვალი ნება-
ლო. იცოდნენ ჩვენი ქვეყნის პირსისხლიანმა მტრებმა, თუ რო-
ულმობელობით დაატყდება მათ ასსამოცდაათი მილიონიანი
გულისწყრომა.

შიზმის ამ პირსისხლიანმა აგენტებმა შესძლეს ჩაექროთ პროლე-
ი რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის ს. მ. კიროვის სიცოცხ-
თ სასიკვდილო ლახვარი აღმართეს ხალხთა დიდი ბელადის —
ისა და მის სახელოვან თანამებრძოლთა წინააღმდეგ. მაგრამ
ამ გადაგვარებულ ხროვის ვერაგულ განზრახვებს წინ აღუდ-
ორც ურყევი კედელი, ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელი მასე

, საბჭოთა მწერლებმა, უდიდესი გულისყურით წავიკითხეთ
წერილი — „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“.
აყენს ჩვენი სიფხიზლე ახალ საფეხურზე, გვინერგავს კიდევ უფ-
სიძულვილს მუშათა კლასის მტრებისა მიმართ და განუსაზღვ-
იყვარულს ლენინ-სტალინის პარტიისადმი.

ჰყვას გაძლევთ, რომ გავაკეთებთ შესაფერ პრაქტიკულ დასკვ-
ვენი წერილიდან და კიდევ უფრო გავაძლიერებთ რევოლუ-
იფხიზლეს, რათა საბოლოოდ განვდევნოთ საბჭოთა მწერლების
ან ყოველგვარი მტრული ელემენტი. მუხანათური მტრების
ოდ ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ შემოქმედებითი მუშაო-
თა შევქმნით სტალინის დიადი ეპოქის შესაფერისი ლიტერა-
კიდევ უფრო მჭიდროთ დავირაზმებით ლენინისა და სტალინის
ქვეშ.

თეული ქართველი საბჭოთა მწერალი თავის საპატიო ამოცა-
ვლის გაამართლოს შემოქმედებითი მუშაობით თქვენი მზრუნ-
ამოკიდებულება და ყურადღება საბჭოთა ლიტერატურისადმი.

მარჯოს ჩვენს გამარჯვებათა დროშას, ხალხთა უსაყვარლეს
ამხ. სტალინს.

მარჯოს სახელოვან სტალინელს საქართველოს საბჭოთა მწერ-
ნამდვილ მეგობარს და მოამაგეს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას**.

**საქართველოს საბჭოთა მწერლების საერთო კრების მონდობი-
ით:**

აკ. თათარიშვილი, გ. ტაბიძე, დუტუ მეგრელი, ა. მა-
ვილი, კ. გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო
ელი, პ. მ. საყვარელიძე, დ. დემეტრაძე, ბ. ჟღენტი, ვ.
რინდაშვილი, გ. ლეონიძე, ი. აბაშიძე, გ. ბუაჩიძე, გ.
იკაშვილი, რ. გვეტაძე, ვ. გორგაძე, ს. მთვარაძე, ნი-
ლოზ მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, პავლე იაშვილი.

ლავრენტი ბერია

გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები

სტატია დაბეჭდილია „პრავდა“-ს 19 აგვისტოს ნომერში

> „…ნანას კი არ უნდა ვეუბნებოდეთ პარტიას, — არამედ უნდა ვანვითარებდეთ მასში სიფხიზლეს, კი არ უნდა მივაძინოთ იგი,—არამედ ვიყოლიოთ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, კი არ უნდა განვაიარაღოთ, არამედ უნდა შევაიარაღოთ, მისი დემობილიზაცია კი არ უნდა მოვახდინოთ, — არამედ ვიყოლიოთ იგი მობილიზაციის მდგომარეობაში“…
>
> **ი. სტალინი.** მოხსენებიდან საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე.

I

ჩვენი მძლავრი საბჭოთა ქვეყანა ბეჯითად მიდის წინ ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების მწვერვალებისაკენ.

სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც უდიდესი აღფრთოვანებით იხილავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები, განასახიერებს სოციალიზმის ისტორიულ წარმატებებს, მოპოვებულთ საბჭოთა კავშირის ხალხთა მიერ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიისა და მშრომელი მასების საყვარელი ბელადის — დიდი **სტალინის** გენიალური წინამძღოლობით.

მთელი მსოფლიო იცნობს ამ წარმატებებს, მათ იცნობენ და აფასებენ მშრომელი კაცობრიობის მილიონები. სოციალიზმის ყველაზე დაუძინებელი მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი.

ეს წარმატებანი მოპოვებულია სსრ კავშირის ბოლშევიკებისა და მშრომელი მასების მიერ კონტრრევოლუციის ძალთა ლიკვიდაციის შედეგად, ანტი-პარტიული ჯგუფებისა და ოპოზიციების დაუნდობელი განადგურების შედეგად. ისინი მიღწეულია ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების გმირული ბრძოლითა და მუშაობით და წარმოადგენენ ჩვენი პარტიის ხაზის გამარჯვების გამოხატულებას, მისი სტალინური ხელმძღვანელობის გამარჯვებათა გამოხატულებას.

მხოლოდ **ლენინ-სტალინის** პარტიამ, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის წამყვან ძალას წარმოადგენს და რომელსაც საკ. კ.პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს, უზრუნველჰყო ეს ისტორიული წარმატებანი, შეურიგებლად იცავდა რა თავის გენერალურ ხაზს მტრების თავდასხმებისგან.

ამიტომ სოციალიზმის განადგურებულ მტერთა უბადრუკი ნამსხვრევები ახლა სცდილობენ მთელი თავიანთი მახვილი, უწინარეს ყოვლისა, მიჰმართონ **ლენინ-სტალინის** პარტიის წინააღმდეგ, მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, მის გულში, ისინი თავიანთ შავბნელ, მოღალატურ და დამარღვეველ მუშაობაში ადგებიან ყველაზე ბილწი, ყველაზე საზიზღარი საშუალებებისა და მეთოდების გზას.

„მხედველობაში უნდა გვქონდეს, — ამბობდა ამხანაგი **სტალინი**, — რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდა გააძლიერებს მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგობას. სწორედ იმიტომ, რომ ისინი კვდებიან და სულს ღაფავენ, ისინი თავდასხმის ერთი ფორმიდან გადავლენ თავდასხმის სხვა, უფრო მკვეთრ ფორმაზე. მიჰმართავენ მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებს და დარაზმავენ მათ საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ. არ არის ისეთი სისაძაგლე და ცილისწამება, რომელიც ამ ყოფილმა ადამიანებმა არ მიაწერონ საბჭოთა ხელისუფლებას და რომლის გარშემოც არ შეეცადნენ ჩამორჩენილი ელემენტების მობილიზაციას. ამ ნიადაგზე შეიძლება გამოცოცხლდნენ და შეინძრნენ ძველი კონტრრევოლუციური პარტიების — ესერების, მენშევიკების, ცენტრისა და განაპირა მხარეების ბურჟუაზიული ნაციონალისტების დამარცხებული ჯგუფები, შეიძლება გამოცოცხლდნენ და შეინძრნენ კონტრრევოლუციური ოპოზიციური ელემენტების ნამსხვრევები ტროცკისტებისა და მემარჯვენე უკლონისტების წრიდან“.

ამხანაგ **სტალინის** ეს გენიალური პროგნოზი სავსებით და მთლიანად დაადასტურა თვით ცხოვრებამ.

პარტიის ერთერთი საუკეთესო, საყვარელი ხელმძღვანელის — სერგეი მირონის-ძე კიროვის საზიზღარმა მკვლელობამ, რომელიც ტროცკიმ, ზინოვიევმა, კამენევმა — ამ კონტრრევოლუციონერებმა და არამზადებმა მოაწყეს, — თვალნათლივ დაგვანახვა, რომ პარტიის მტრები მის წინააღმდეგ ბრძოლის არავითარ საშუალებას არ თაკილობენ და რომ ისინი ტერორის, დივერსიისა და შპიონაჟის გზით მიდიან.

მტრებისათვის აშკარაა, რომ პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით, საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა, წარმატებით გადალახა მან თავის წინაშე მდგომი ყველა სიძნელე და ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს, რომ ბოლშევიკური პარტია გახდა მთლიანი და მონოლიტური, როგორც არასოდეს.

ხედავენ რა ამას, კონტრრევოლუციური ძალების ნაშთები და, უწინარეს ყოვლისა, კონტრრევოლუციის ქოფაკი ძაღლები — უმსგავსი ტროცკისტები და ზინოვიეველები. რომლებსაც არავითარი დასაყრდენი არა აქვთ მასებში, გაბოროტებულნი არიან და თვით ისტორიის მიერ მხილებულნი, რომლებმაც თავიანთ „პრინციპებს“ საფუძვლად დაუდეს კარიერიზმი, თავკერძობა და მაროდიორობა, გადაიქცნენ მკვლელთა ბანდად, რომელთა ერთადერთი მიზანია — არაფერი არ ითაკილონ და ყოველგვარი საშუალებით გაძვრნენ ხელისუფლების სათავეში.

დაადგნენ რა მოღალატეობისა და გამცემლობის გზას, ტროცკისტები და ზინოვიეველები ჩაეფლნენ უაღრესად აღვირახსნილ თეთრგვარდიელთა ჭაობში, გადაიქცნენ ფაშისტურ კონტრდაზვერვათა აგენტებად, გადაიქცნენ კონტრრევოლუციურ ელემენტთა მთავარ დამრაზმავ ძალად ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმად მის ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლა მათი მიზანი გახდა; ტერორი, შპიონაჟი და დივერსია გადაიქცა მათი ბრძოლის საშუალებად, ხოლო თვალთმაქცობა — მათი კონტრრევოლუციური თეთრბანდიტური ოინების მეთოდად და საფარად.

II

უკანასკნელ დროს პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის პერიოდში ამიერ-კავკასიაში გამოაშკარავებულ და გამომჟღავნებულ იქნენ ცალკეული კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფები.

ტფილისში გამოაშკარავებულ იქნენ კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები თუმანოვი, აკირტავა, ჩიხლაძე, ძიგრაშვილი, ყაზაროვი, ანანინი, მუური, ვარნაზოვი და სხვები. ეს თვალთმაქცნი, რომლებიც წარსულში ნაციონალ-უკლონისტები იყვნენ, ხოლო შემდეგ ტროცკისტულ ოპოზიციას ეკუთვნოდნენ, რომელთა ნაწილი გადასახლებაში იყო, ხოლო ცალკეულნი მათგანი პარტიაში იქნენ აღდგენილნი, ფიცით იძლეოდნენ რა თავის განცხადებებს პარტიის ხაზისადმი ერთგულების შესახებ, ამავე დროს ჰქმნიდნენ კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ არალეგალობას, ეწეოდნენ დამარღვეველ მუშაობას, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს.

ბაქოში გამოაშკარავებულ იქნა ბალდასაროვის, კრილოვის, კუზმინის, კონევსკის, ო. ბაირამოვის, ბაბაევისა და სხვათა კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ჯგუფი, როგორც გამორკვეულ იქნა, გადასახლებიდან ბაქოში დაბრუნებულმა ტროცკისტებმა არა თუ არ შესწყვიტეს თავისი კონტრრევოლუციური მუშაობა, არამედ, პირიქით, მიაღწიეს რა პარტიაში აღდგენას, ამავე დროს შეჰქმნეს ბაქოში კონტრრევოლუციური ტერორისტული სადივერსიო ჯგუფები და თავის მუშაობაში დაუკავშირდნენ საკმაოდ ცნობილ თვალთმაქცს კონტრრევოლუციონერ ტერ-ვაჰანიანს.

ერევანში გამოაშკარავებულ იქნა სტეფანიანის კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - ნაციონალისტური ჯგუფი. აღმოჩნდა, რომ ეს არამზადა და სალახანა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც წითელი პროფესურის ინსტიტუტში სწავლობდა მოსკოვში, ხოლო უკანასკნელ 4-5 წელს იყო სომხეთის განათლების სახალხო კომისრად, შემდეგ კი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორად, მთელი ამ ხნის განმავლობაში ეწეოდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ-ნაციონალისტურ მუშაობას, შეჰქმნა კონტრრევოლუციური ჯგუფი, ქადაგებდა ტერორს პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფები გამოაშკარავებულ იქნენ აგრეთვე ლენინაკანს, ბათომსა და კიროვაბადში.

გამოაშკარავებული ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობამ აღიარა თავისი კონტრრევოლუციური მუშაობა. ისინი გამოტყდნენ იმაში, რომ ტროცკისტულ - ზინოვიევური ბლოკის ცენტრის დავალებით კონტრრევოლუციური ჯგუფების მონაწილეთა შორის ნერგავდნენ სიძულვილს საკ. კ.პ. (ბ) ხელმძღვანელობის მიმართ, ზრდიდნენ ტერორისტთა კადრებს, ეწეოდნენ მავნებლურ მუშაობას საწარმოებში და ამზადებდნენ სადივერსიო აქტებს.

თავის მუშაობაში ამ არამზადებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს მენშევიკურ, დაშნაკურ, მუსავატურ, თეთრგვარდიულ და კულაკურ კონტრრევოლუციურ ელემენტებთან.

კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ-ზინოვიეველები თავისი ბრძოლის მიზნებსა და საშუალებებში არამარტო შეუთანხმდნენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან განდევნილ მენშევიკურ, დაშნაკურ, მუსავატურ, თეთრგვარდიელებსა და მათს არალეგალურ აგენტურას, არამედ ისინი გახდნენ მათი დამრაზმავი ძალა და სათავეში ჩაუდგნენ მათს ბრძოლას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სოციალიზმის გამარჯვებათა წინააღმდეგ.

პარტიულ ორგანიზაციებში მოინახნენ პოლიტიკურად ბრმანი, ადამიანები, რომლებიც დანაშაულებრივად უგულებელჰყოფდნენ ამხანაგ სტალინის მითითებებს სიფხიზლის გაძლიერების აუცილებლობაზე, რომლებმაც არავითარი დასკვნა არ გააკეთეს ამხანაგ კიროვის მოკვლის გაკვეთილებიდან, პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის გაკვეთილებიდან.

პარტიულ ორგანიზაციებში მოინახნენ ისეთი ხელმძღვანელნი, რომლებიც თავისი არასაკმაო სიფხიზლით საშუალებას ჰქმნიდნენ ტროცკისტ-ზინოვიეველთა გარეწრების კონტრრევოლუციური მუშაობისათვის.

პარტიიდან ჯერ კიდევ სავსებით როდი არიან გაგვილნი კლასობრივი მტრის პირდაპირი ხელშემწყობნიც.

გამოაშკარავებულ ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფების შემადგენლობაში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც პარტიული ბილეთები ჰქონდათ და პარტდოკუმენტთა შემოწმება გაიარეს. ბაქოს ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფის ორგანიზატორები — ბალდასაროვი, კრილოვი, კონევსკი, ბაირამოვი და ბაბაევი პარტიის წევრები იყვნენ.

III

ტროცკისტთა, ზინოვიეველთა და სხვა კონტრრევოლუციონერთა მიმართ სიფხიზლის დაკარგვისა და მათთვის ხელისშეწყობის მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტები, რომლებიც შეეხება სომხეთის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივანს ხანჯიანს და სომხეთის პარტკოლეგიის ყოფილ მდივანს გალოიანს.

როგორც გამოირკვა, სომხეთის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა მდივანმა — ხანჯიანმა, რომელიც ჯერ კიდევ 1934-1935 წლებში იღებდა სიგნალებს სტეფანიანისა და მისი ჯგუფის კონტრრევოლუციური ტერორისტული და დამარღვეველი მუშაობის შესახებ, არავითარი ზომები არ მიიღო ამ ჯგუფის გამოსააშკარავებლად.

როდესაც სომხეთის პარტკოლეგიამ ჯერ კიდევ 1934 წელს, განიხილა რა მასალები სტეფანიანის კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ, დამალა, მიჩქმალა ეს საქმე და სავსებით გაამართლა იგი — ხანჯიანმა ხელი დააფარა პარტკოლეგიის ამ დანაშაულებრივ მოქმედებას და სანქცია მისცა მის გადაწყვეტილებას.

სიკვდილის წინ დაწერილ ბარათში ხანჯიანმა აღიარა: „პარტკოლეგიაში სტეფანიანის საქმის გარჩევასთან დაკავშირებით, მე ჩავიდინე პარტიული ხელმძღვანელისათვის სამარცხვინო შეცდომა“.

სტეფანიანის კონტრრევოლუციური, ტერორისტული ჯგუფის საქმის გამო წარმოებული კვლევა - ძიება, უკანასკნელ დროს სომხეთში კონტრრევოლუციური ტროცკისტული და ნაციონალისტური ელემენტების გამომჟღავნება მოწმობენ, რომ ხანჯიანმა ჩაიდინა „სამარცხვინო შეცდომა“ არა მარტო სტეფანიანის ჯგუფის საქმეში, არამედ დაჰკარგა რა სიფხიზლე, აუცილებელი თვითეული კომუნისტისათვის და მით უმეტეს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, ის ჰფარველობდა კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ განწყობილებებს, სუსტად ეწეოდა ბრძოლას ტროცკისტულ, დაშნაკურ და სხვა კონტრრევოლუციურ ელემენტებთან და ამით ხელს უწყობდა მათს ანტისაბჭოთა მუშაობას.

ახლა გამორკვეულია, რომ ხანჯიანს სისტემატურად, მთელი რიგი წლების განმავლობაში მიწერ-მოწერა ჰქონდა საზღვარგარეთ, პარიზში მყოფ ვინმე ჩობანიანთან, სომხური კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური პარტიის „რამკავარების“ ერთერთ ცნობილ მოღვაწესთან.

ხანჯიანი უმალავდა პარტიას ამ მიწერ-მოწერას. ხანჯიანისადმი მიწერილ წერილებში ეს ჩობანიანი აძლევდა მას კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ „რჩევებს“.

ერთერთ ასეთ წერილში 1933 წელს ჩობანიანი სწერდა ხანჯიანს: „ძალიან კარგს იზამთ, თუ თქვენს პრესაში და თქვენს სიტყვებში შეძლებისდაგვარად ნაკლებად ილაპარაკებთ დაშნაკებზე“.

1936 წელს მოწერილ წერილში ჩობანიანი ურჩევდა ხანჯიანს ახალი კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით დაესვა სომხეთის საზღვრების გადასინჯვისა და მათი გაფართოვების საკითხი.

„მე ვლაპარაკობ, — სწერს ის ხანჯიანს, — არა მარტო თურქეთისათვის გადაცემულ ანსა, არარატსა, ყარსსა და სურმალუზე, არამედ ახალქალაქსა და ყარაბაღზეც... და ნახჭევანზე, რომელიც ყოველთვის სომხეთის ნაწილს წარმოადგენდა“.

ხანჯიანი არა მარტო ღებულობდა ასეთ წერილებს, არამედ თავისთვის შესაძლებლად სცნობდა პასუხი გაეცა მათზე და მიჰყოლოდა კიდეც ამ კონტრრევოლუციურ რჩევებს.

ასე, მაგალითად, დაშნაკების საკითხზე ის პირდაპირ მითითებებს აძლევდა გაზეთ „ხორურდაინ ჰაიასტანის“ (სომხეთის ც. კ-ის ორგანო) რედაქციას—ნაკლებად გაეკრიტიკებინათ პრესაში დაშნაკები და თვითონაც „შეძლებისდაგვარად“ ცდილობდა ნაკლებად გაეკრიტიკებინა ისინი თავის სიტყვებში.

„ახლანდელ პირობებში არ არის არავითარი საჭიროება ვბეჭდოთ წერილები დაშნაკების წინააღმდეგ. ეს ზედმეტი იქნებოდა“, — მიუთითებდა ხანჯიანი „ხორურდაინ ჰაიასტანის“ რედაქციის მუშაკებს.

არ იჩენდა რა სიფხიზლეს ტროცკისტებსა და დაშნაკებთან ბრძოლაში, თვალთმაქცობდა რა პარტიის წინაშე, ხანჯიანი პირდაპირ ჰფარველობდა გაშიშვლებულ ნაციონალისტურ ელემენტებს სომხეთის ინტელიგენციაში, მწერალთა ნაწილში, რომლებიც აშკარა ბრძოლას აწარმოებდნენ სომხეთის ხალხის კულტურის მშენებლობის წინააღმდეგ, — ნაციონალურისა ფორმით და სოციალისტურისა შინაარსით; ისინი ამას უპირდაპირებდნენ კულტურის კონტრრევოლუციურ ფორმულას — „ნაციონალური ფორმით და ნაციონალისტური შინაარსით“.

სომხეთის პარტკოლეგიის ყოფილი მდივანი ა. გალოიანი, ეს არამზადა და თვალთმაქცი, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ - ზინოვიეველთა აშკარა დამხმარე აღმოჩნდა.

მან დაუმალა პარტიას, რომ ეკუთვნოდა ტროცკიზმს 1927 წელს, პირდაპირ ჰფარველობდა ტროცკისტებს და ხელს უწყობდა სტეფანიანის კონტრრევოლუციურ ტერორისტულ ჯგუფს. არაერთხელ მიიღო რა პარტიის ცალკე წევრებისა

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები

ამხ. ლ. ბერიას სტატიის დასასრული

განცხადებები სტეფანიანის კონტრრევოლუციური, ტერორისტული და ნაციონალისტური შეხედულებების შესახებ, გალოიანმა არა თუ არ მიიღო ზომები სტეფანიანის ჯგუფის გამოსამჟღავნებლად, არამედ, პირიქით, პარტიული სასჯელი დაადო პარტიის წევრს, რომელიც სტეფანიანს ამხელდა.

გალოიანი სტუმართმოყვრულად იღებდა თავის ბინაზე კონტრრევოლუციონერ სტეფანიანს და პირადად ისმენდა მის კონტრრევოლუციურ დაშნაკურ „მსჯელობას“.

სომხეთის კომპარტიის რაიკომებისა და ქალაქკომების მიერ გამომჟღავნებულ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებს გალოიანი აღადგენდა ხოლმე პარტიაში: გალოიანი ხელს აფარებდა მათ, პარტკოლეგიის სხვა წევრები კი უდარდელად აპარტყუნებდნენ ყურებს და ბეჭედს ასვამდნენ გალოიანის მიერ შეჩეჩებულ გადაწყვეტილებებს.

IV

ბაქოს ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებს ბალახანის, ლენინის და შაუმიანის რაიონებში თავის დროზე ჰქონდათ მთელი რიგი სიგნალები ცალკეული კომუნისტებისა და უპარტიო სტახანოველი მუშებისაგან ტროცკისტთა, ზინოვიეველთა კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ. მაგრამ ამ ორგანიზაციებმა თავის დროზე არ მიიღეს ზომები მათ გამოსამჟღავნებლად.

ბალახანის რაიონის ბუდიონის სახელობის ქარხანაში საკ. კ.პ. (ბ) თანაგრძნობი ამხ. მიტიუშინი აცნობებდა პარტიულ ორგანიზაციას, რომ პარტიის წევრი — თვალთმაქცი სოროკინი და პარტიიდან გარიცხული ტროცკისტები — დეხისოვი, მოკშინოვი და ჩერნიშევი ეწევიან პარტიის მიმართ კონტრრევოლუციურ ცილისწამებას და მუშებთან კონტრრევოლუციურ საუბრებს აწარმოებენ.

ბუდიონის სახელობის ქარხნის პარტკომში არა თუ ყურადღება არ მიაქციეს ამხ. მიტიუშინის ამ განცხადებას, არამედ, პირიქით, უქმნიდნენ მტრებს ხელსაყრელ პირობებს კონტრრევოლუციური მუშაობისათვის.

კონტრრევოლუციური ტროცკისტული ტერორისტული ჯგუფის აქტიურ წევრებს ლევაგინს, აპალკოვს და პაკინს მინდობილი ჰქონდათ მუშაობა პარტკაბინეტში.

სიფხიზლის მოდუნება გამოიჩინა სარეწაო გზის სამმართველოს პარტორგანიზაციამაც ლენინის რაიონში („უპდ“ — ზაბრატი). პარტიის წევრი მთავარი კონდუქტორი შულიკო აცნობებდა პარტორგანიზაციას, რომ პარტიიდან გარიცხული ტროცკისტი სერგეევი ზაბრატის სადგურზე ეწევა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ აგიტაციას. სავაგონო დეპოს პარტორგი ამხ. კარაპეტიანი აცნობებდა პარტკომს, რომ კონტრრევოლუციურ ლაპარაკს ეწევა კაზადაევი, რომელიც მუშებს გაფიცვისაკენ მოუწოდებს. სადგურ ზაბრატის — „უპდ“-ს პარტკომმა ვერ შესძლო შეემჩნია და თავის დროზე გამოემჟღავნებინა ამ კონტრრევოლუციური ლაპარაკის პოლიტიკური სარჩული. „უპდ“-ს პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის სიფხიზლის მოდუნების გამო კონტრრევოლუციონერმა ტროცკისტებმა მოახერხეს გამქრალიყვნენ სარეწაო გზების სამმართველოში ზაბრატში და დაეკავებინათ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ხელმძღვანელი პოსტები წარმოებაში. კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი კოვალიოვი ხელმძღვანელობდა „უპდ“-ს წევის მთელი დარგის ტექნიკურ განყოფილებას; ტერორისტი ტროცკისტი დემინი იყო ინსტრუმენტალურ სამქროს უფროსი; ტროცკისტი პაგანკო ხელმძღვანელობდა ნორმირებას დეპოში; თვალთმაქცი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი დურნოვი იყო ექსპლოატაციის დიდი სამქროს პარტორგი.

კლასობრივ მტერთან ბრძოლაში სიფხიზლის მოდუნების ფაქტები არის ტფილისის ორგანიზაციაშიც.

კონტრრევოლუციური მუშაობისათვის ამჟამად დაპატიმრებულ ტროცკისტ აკირტავას, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნდა და რომელიც პარტიის რიგებში არ არის აღდგენილი, დაპატიმრებამდე მეგობრობა ჰქონდა ზოგიერთ მოლიბერალო კომუნისტთან, რომლებიც მას სიმპატიით ეპყრობოდნენ. ამათგან ერთი, ობილად რომ ვთქვათ „ჩუდაკი“ ხელმძღვანელ მუშაკთა წრიდან, რომელმაც გადასწყვიტა „ხელი აელებინებინა“ აკირტავასთვის მის კონტრრევოლუციურ შეხედულებებზე იმით, რომ წასაკითხავად აძლევდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ლიტერატურას, რომელიც მას ჰქონდა, და რომლის გამოყენებაც ტროცკისტმა აკირტავამ არ დააყოვნა თავისი კონტრრევოლუციური პროპაგანდისათვის.

ტფილისში დაპატიმრებულ ტერორისტ ტროცკისტს ვარნაზოვს უკანასკნელ დრომდე მეგობრობა ჰქონდა ერთერთ ხელმძღვანელ მუშაკთან, რომლის სიმპატიებითაც იგი სარგებლობდა და რომელიც ხშირად სტუმართმოყვარულად ღებულობდა ვარნაზოვს თავის სახლში და ვერ შესძლო დაენახა მასში პარტიის მტერი, ტერორისტი და დივერსანტი.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო-საგამოკვლევო ჰიდროგეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი ტფილისის სტალინის რაიონში კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი თვალთმაქცი [illegible] ინსტიტუტში „თავის ადამიანებს“ კონტრრევოლუციური მუშაობის ხაზით — ტროცკისტებს როოლეხსკის, ჩიხლაძეს, ხახაიოვს და ყოფილ აქტიურ მენშევიკს მამამაიას, რომელიც მოტყუების გზით შეძვრა პარტიაში. სწორედ ამ „კომუნისტებისაგან“ „შესდგებოდა“ ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია. ერემეიშვილი თავის გარშემო იკრებდა ამ ყალბ, სახელგატეხილ ადამიანებს, რომლებსაც ის „დამსახურება“ ჰქონდათ, რომ წარსულში იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პარტიულ ორგანოების მხედველობიდან გამოეპარათ ტროცკისტ ერემეიშვილის ეს დამარღვეველი მუშაობა.

ყველა ამ გამომჟღავნებულ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტთა დამარღვეველი მუშაობის დაფარვის მეთოდს წარმოადგენდა ყველაზე საზიზღარი, ყველაზე ბინძური თვალთმაქცობა. ისინი აცხადებდნენ, რომ ერთგული არიან პარტიის, წარმოსთქვამდნენ რევოლუციურ ფრაზებს პარტიის ხაზის დასაცავად, და აბრიყვებდნენ რა ამით არაფხიზელ ხელმძღვანელებს და კომუნისტებს, მოქმედებდნენ, როგორც ხალხის მტრები.

ტროცკისტები ჩიხლაძე, კანდელაკი, ლ. გასვიანი და სხვ. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ ტფილისის პარტიული ორგანიზაციების კრებებზე თავიანთ გამოსვლებსა და სიტყვებში ტროცკიზმის წინააღმდეგ, პარტიის გენერალური ხაზისათვის, ხოლო ამავე დროს სინამდვილეში ეწეოდნენ არალეგალურ კონტრრევოლუციურ მუშაობას.

კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი ლეონ საოქისოვი ოთხ წელიწადს მუშაობდა პარტიის ლენინის რაიკომის პროპაგანდისტად და ხელმძღვანელობდა წრეს ტფილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში. ატარებდა რა წრის სხდომებზე ლექციებსა და საუბრებს პარტიის ხაზის დასაცავად და ამინებდა რა ამით პარტორგანიზაციის სიფხიზლეს, იგი დაუსჯელად აკეთებდა თავის ბინძურ კონტრრევოლუციურ საქმეს.

V

ყველა ეს ფაქტი იმას გვეუბნება, რომ პარტიის ხაზის სრული და გადამწყვეტი გამარჯვების პირობებში, როდესაც აშკარა ბრძოლა პარტიის პოლიტიკასთან უიმედო გახდა, მხოლოდ თვალთმაქცობას შეუძლია დაჰფაროს და ხელი შეუწყოს ანტიპარტიულ და კონტრრევოლუციურ ელემენტებს პარტიის შიგნით.

თვალთმაქცი პარტიის მომტყუებელია, თვალთმაქცი საბჭოთა ხელისუფლების მტერია, ხალხის მტერია. თვალთმაქცი — კონტრრევოლუციის აგენტია, მავნებელი, პროვოკატორი, მზვერავია.

კომუნისტი, რომელიც შემარიგებლობას და დამპალ ლიბერალიზმს იჩენს თვალთმაქცობის მიმართ, რა ფორმებშიაც უნდა გამოვლინდეს იგი, უდიდეს დანაშაულს ჩადის პარტიის წინაშე, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, ჩვენი სამშობლოს წინაშე.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრები ნაციონალურ რესპუბლიკათა პირობებში ძალიან ხშირად ეფარებიან ნაციონალურ ყოფაცხოვრების თავისებურებებსა და ტრადიციებს.

შემთხვევითი როდია, რომ ცალკეული ტროცკისტ-ზინოვიეველი კონტრრევოლუციური ელემენტები თავისი მავნებლური და ტერორისტული მუშაობის დასაფარავად იყენებენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მშრომელი ხალხების „ნაციონალურ მისწრაფებების“ გამომხატველთა ნიღაბს.

შემთხვევითი როდია, რომ სტეფანიანის ტროცკისტული ჯგუფი ერევანში თავის გამოშვებულ კონტრრევოლუციურ განწყობილებებს მძლავრად ულისთავდა ნაციონალისტური სიმყრალით.

ნაციონალისტური ელემენტები ნაციონალ-შოვინისტური ლაგერიდან ძალიან ხშირად ქვეითდებიან საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის პოზიციებამდე და ბლოკს ჰკრავენ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველებთან, მენშევიკებთან, დაშნაკებთან და მუსავატისტურ ელემენტებთან. ასეთია ბოლშევიკთა პარტიის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ლოგიკა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პარტიულ ორგანიზაციებს მტკიცედ ახსოვთ თავისი მუშაობის ეს თავისებურება.

ისინი დაუნდობელ ბრძოლას ეწევიან კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ ელემენტებთან და ნაციონალ-უკლონიზმის რეციდივებთან თავის საკუთარ რიგებში.

მათ კარგად ახსოვთ, თუ რით დამთავრდა ნაციონალ-უკლონიზმის გამცემლური გზა.

ნაციონალ-უკლონისტების საგრძნობი ნაწილი, რომლებიც იყვნენ საქართველოს მენშევიკების, თავადებისა, მემამულეებისა და კულაკების ინტერესების გამომხატველნი და მათი საქმის გამგრძობნი, შემდეგ ჩაეფლნენ კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ჭაობში და ტროცკისტებსა და ზინოვიეველებთან ერთად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დაადგნენ შპიონაჟისა, დივერსიისა და ტერორის გზას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ნაციონალისტური ელემენტები ამიერკავკასიაში ცდილობენ თავისი მუშაობის გაცხოველებას.

არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ პარტიისა და მთავრობის დადგენილება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის უშუალოდ შესვლისა და, ამასთან დაკავშირებით, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ, შეაფასონ, როგორც თავისი წარსული ნაციონალ-უკლონისტურ შეცდომათა გამართლება. სჩანს, ამ ადამიანებს ვერ გაუგიათ თავისი წარსული შეცდომები, მათ არ გაეგებათ ის, რასაც დღეს პარტია აკეთებს, და დაუნდობლად უნდა იქნენ გამოაშკარავებულნი.

ამხანაგი **სტალინი** საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თავის მოხსენებაში „ახალი კონსტიტუციის შესახებ“ ამ ადამიანებს ადარებდა პეტროგრადში — 1917 წლის აპრილს მომქმედ ერთერთ ბოლშევიკურ ჯგუფს, რომელსაც ლენინმა ავანტურისტული ჯგუფი უწოდა, ვინაიდან იგი მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას 1917 წლის აპრილს, როდესაც პირობები ამისათვის ჯერ კიდევ მომწიფებული არ იყო და ნაადრევი აჩქარება შეიძლებოდა პარტიისათვის კატასტროფით დამთავრებულიყო. ხოლო, როდესაც 1917 წლის ოქტომბერში პარტიამ აიღო ხელისუფლება და დაამყარა საბჭოთა წესწყობილება, ამ ჯგუფის ადამიანები ძლევამოსილი გამომეტყველებით ლაპარაკობდნენ—მართალი ვიყავით, როდესაც 1917 წლის აპრილში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოვითხოვდითო. ლენინი ასეთ კომუნისტებს წვრილ მაროდიორებს ეძახდა. ამ წვრილ მაროდიორებს ჰგვანან დღეს ის ნაციონალ-უკლონისტები, რომლებიც ცდილობენ გაამართლონ თავიანთი წარსული შეცდომები პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ.

ნაციონალ-უკლონისტები საქმეს უფუჭებდნენ ჩვენს პარტიას მაშინ, როდესაც საჭირო იყო ბურჟუაზიული ნაციონალისტების დამარცხება ამიერ-კავკასიაში და მეგობრობის კავშირის განმტკიცება ხალხთა შორის. ისინი ლამობენ დღესაც აგვირიონ საქმე და ცდილობენ შეარყიონ ამიერ-კავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობა.

საქართველოს და სომხეთის ინტელიგენციის ძველი კადრების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ ძლიერია ნაციონალისტური განწყობილება. ძალიან ხშირად მტერი ცდილობს ამის გამოყენებას. ნაცვლად იმისა, რომ დაჟინებით იმუშაონ ინტელიგენციის ამ ჯგუფთა ინტერნაციონალურ აღზრდაზე, ცალკეული კომუნისტები, ხოლო ზოგჯერ თვითონ ხელმძღვანელი მუშაკებიც, რომლებიც ძალიან ხშირად კარგად ვერ ერკვევიან პარტიის ნაციონალური პოლიტიკის საკითხებში, კვერს უკრავენ ჩამორჩენილ ნაციონალისტურ განწყობილებებს, რევენ სხვებსაც და თავის თავსაც, ზოგჯერ კი მავნე ნაციონალისტური განწყობილებანი გადააქვთ პარტიული ორგანიზაციების რიგებში. კომუნისტი გავლენას უნდა ახდენდეს გარშემო მყოფებზე, წინ უნდა უძღოდეს მათ, ზოგიერთ კომუნისტებს კი პირიქით ემართებათ: მათზე გავლენას ახდენენ ნაციონალისტური და მტრულად განწყობილი ელემენტები და მათ თავისი მიზნებისათვის იყენებენ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ამიერ-კავკასიაში უდიდესი მუშაობა შეასრულეს ნაციონალური ინტელიგენციის კადრთა საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის გარშემო შესამჭიდროვებლად. ამ საქმეში მათ უდავო და დიდი წარმატებები აქვთ.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ სიფხიზლე პარტიის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საქმეში, უფრო უკეთ მოვაწყოთ მუშაობა მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში და ამ ფრონტზედაც აგრეთვე საბოლოოდ გავანადგუროთ მტრები.

VI

ამიერ-კავკასიაში ჯერ კიდევ მოიპოვება ძველი გადმონაშთები და ფეოდალური „ტრადიციები“, რომლებსაც დიდიხანია ბოლო უნდა მოეღოს.

ჯერ კიდევ ცოტა არ არის ისეთი კომუნისტი, რომლებიც საყოფაცხოვრებო ტრადიციულ ურთიერთობას უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე პარტიულ პრინციპულ ურთიერთობას.

სტუმართმოყვარეობის რა ტრადიციებით შეიძლება გამართლდეს საქციელი ცალკეული პარტიელებისა, რომლებმაც ტფილისში სასტუმრო „ორიანტში“ სპეციალური საზეიმო შეხვედრა — ბანკეტი გაუმართეს გამცემელ ლომინაძეს, რომელიც, როგორც გამორკვეულია, ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური იატაკქვეშეთის ერთერთი ორგანიზატორი იყო და რომლის ანტიპარტიული შეხედულებანი და მუშაობა უკვე იმ პერიოდში კარგად იცოდნენ ამ შეხვედრის ცალკეულმა ინიციატორებმა.

კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც არ სურთ გაიფუჭონ კარგი ურთიერთობა „მეგობრებთან“, ალბათ, იმ ანგარიშით, რომ ეს „მეგობრები“ შეიძლება მათ ოდესმე გამოადგეთ.

ეს ფაქტები გვიჩვენებენ, როგორ იჩენენ ცალკეული კომუნისტები, რომელთაც არ ესმით რევოლუციური სიფხიზლის ამაღლების ამოცანები, ყოვლად შეუწყნარებელ გულკეთილობას, დამპალ ლიბერალიზმს და ამით მორჩილად მიჰყვებიან კონტრრევოლუციურ ელემენტებს.

ყველა ეს ფაქტი კიდევ და კიდევ ამტკიცებს ამხანაგი **სტალინის** მითითებათა გენიალობას რევოლუციური სიფხიზლის ამაღლების აუცილებლობის შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა უაღრესად ულმობელი ბრძოლა სოციალიზმის მტრებთან და მათ მოწინავე რაზმთან— საზიზღარ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველებთან.

რევოლუციური შეტევითი ბოლშევიკური სიფხიზლე გამოხატულებას უნდა პოულობდეს არა პლატონიურ სიტყვებში სიფხიზლის შესახებ, არა ყვირილა რეზოლუციებში, არამედ კომუნისტის თვითეულ მოქმედებაში იმ უბანზე, სადაც იგი დაყენებულია პარტიის მიერ, იმ გარემოში, სადაც იგი იმყოფება, კომუნისტის პრაქტიკული მუშაობისა და ყოველდღიური ყოფაცხოვრების თვითეულ ნაბიჯში.

რევოლუციური სიფხიზლე უნდა მდგომარეობდეს იმ ადამიანთა უაღრესად გულდასმით შემოწმებაში, რომლებთანაც კომუნისტი მუშაობს, რომლებიც მას გარს არტყიან, რომლებთანაც მას ურთიერთობა აქვს.

სიფხიზლე უნდა გამოიხატებოდეს ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლაში, რაც დახმარებას გვიწევს გამოვამჟღავნოთ ჩვენი ნაკლი და მტრების მახინაციები.

სიფხიზლე იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ კომუნისტს მჭრელი თვალი ჰქონდეს და სცდილობდეს თავისი პარტიული თვალით შეიჭრას ყველა კუთხესა და ჭუჭრუტანაში, მას ყველაფერი უნდა აინტერესებდეს.

სიფხიზლე უნდა გამოიხატებოდეს თვითეული კომუნისტის, თვითეული კომკავშირელის, თვითეული არაპარტიული ბოლშევიკის იმ მუშაობის გაუმჯობესებაში, რომელიც მიმართულია პარტიის ამოცანების და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განხორციელებისაკენ.

პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ და გამოცვლამ ხელი შეუწყო პარტიული ორგანიზაციების სიფხიზლის გაძლიერებას, მაგრამ არ შეიძლება იმის ფიქრი რომ პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ და გამოცვლამ საბოლოოდ გასწმინდა პარტია მტრებისაგან. არ შეიძლება ფიქრი, რომ, ვამხილეთ რა მთელი რიგი კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფები, ჩვენ უკვე გამოვამჟღავნეთ და გავრიყეთ ყველა ეს გარეწარი და არამზადა. პარტიაში ჯერ კიდევ დარჩნენ კონსპირირებული, შემალული მოსისხლე მტრები, ჯერ კიდევ ყველა თვალთმაქცი როდია გამომჟღავნებული. ჯერ კიდევ კარგად უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ აშმორებული ტროცკისტულ-ზინოვიევური იატაკქვეშეთიდან მზის სინათლეზე გამოვათრიოთ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმალული მტრები.

თვითეული პარტიული ორგანიზაცია ფხიზლად უნდა იცავდეს თავისი რიგების სიწმინდეს, ვინაიდან იქ, სადაც ბოლომდე არ არიან გაწმენდილნი პარტიიდან თვალთმაქცები, გადაგვარებულნი, დაუდევარნი, კარიერისტები, წამგლეჯები, გახრწნილი ელემენტები და სხვ., იქ კონტრრევოლუციონერ-ჯაშუშ-დივერსანტს, — ტროცკისტ-ზინოვიეველს აქვს ნიადაგი თავისი მუშაობისათვის, პოულობს თავის მიმდევრებს, რაზმავს კადრებს თავისი კონტრრევოლუციური ტერორისტული მუშაობისათვის.

მხოლოდ დაუღალავი, ფხიზელი ბრძოლა ბოლშევიკური პარტიის რიგების ერთიანობისა და სიწმინდისათვის უზრუნველჰყოფს სოციალიზმის მტრების საბოლოო მოსპობას.

სოციალიზმის საერთაშორისო და შინაური მტრები არაერთხელ ცდილან აეღოთ გეზი ამიერ-კავკასიაზე თავიანთი კონტრრევოლუციურ ზრახვებში.

ამიერ-კავკასიას მთელი რიგი თავისებურებანი აქვს, რომლებიც განასხვავებენ მას საბჭოთა კავშირის ბევრი მხარისა და რესპუბლიკისაგან.

წარსულში ამიერ-კავკასიაში ძლიერი იყვნენ მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა ანტისაბჭოთა პარტიები; საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ძლიერი იყო ნაციონალიზმი, ნაციონალ-უკლონისტური დაჯგუფებანი პარტიული ორგანიზაციების შიგნით.

ეს თავისებურებანი აგრეთვე მდგომარეობენ რთულ სამეურნეო და ნაციონალურ ხლართში, რომელიც დამატებით სიძნელეებს ჰქმნიდა სოციალისტური მშენებლობისათვის.

მტერი არაერთხელ ცდილა გამოეყენებინა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მუშაობის ეს თავისებურებანი და სიძნელეები პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ტროცკისტები და ზინოვიეველები პარტიის წინააღმდეგ თავიანთი ბრძოლის მთელი მანძილზე, გამცემლობისა და ღალატის მთელ თავიანთ საზიზღარ გზაზე ცდილობდნენ ეპოვათ დასაყრდენი ამიერ-კავკასიის ცალკეულ პუნქტებში.

ლომინაძე, ტერ-ვაჰანიანი, ვარდინი და სხვები ტყუილად კი არ „სეირნობდნენ“ შავი ზღვის ნაპირზე და ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ქალაქებში, და ცდილობდნენ გაებათ კავშირი და შეეგროვებინათ ადამიანები კონტრრევოლუციური მუშაობისათვის.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა მშვენივრად იციან თავიანთი მუშაობის თავისებურებანი და სიძნელეები.

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მიერ არიან აღზრდილნი, მისი გენიალური წინამძღოლობით გაანადგურეს ანტისაბჭოთა პარტიების მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა ძალები, გაანადგურეს ნაციონალ-უკლონიზმი, შექმნეს ურღვევი მშვიდობა [illegible] ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის და უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალიზმის მშენებლობაში.

მათ მთელ პარტიასთან ერთად დაამარცხეს ყოველგვარი ოპოზიცია და დაჯგუფებანი თავიანთ საკუთარ რიგებში, მათ მთელ პარტიასთან ერთად გაანადგურეს კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები და ზინოვიეველები.

და დღეს, როდესაც ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციის უმსგავსი ნაბოლარები ცდილობენ ახალი თავდასხმები მოაწყონ სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, აძლიერებენ რა ბოლშევიკურ სიფხიზლეს, მტკიცედ დგანან **ლენინ-სტალინის პარტიის** საქმის სადარაჯოზე.

ისინი დაუნდობლად ააშკარავებენ და თავის რიგებიდან ერეკებიან ყველას, ვინც სიფხიზლეს ასუსტებს და მტერს ხელს უწყობს.

ისინი მთელ პარტიასთან ერთად იბრძვიან იმისათვის, რომ დედამიწის პირისაგან აღგავონ და საბოლოოდ და სამუდამოდ მოსპონ სოციალიზმის მტრები

VII

სოციალიზმისადმი, **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი, დაპარტიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელმძღვანელებისადმი მხეცური სიძულვილით, თავისი უძლურებისა და უსუსურობის შეგნებით, კარიერისტებისა, შკურნიკებისა და მაროდიორების საძაგელი სულის პატრონი მტრები დაადგნენ სოციალიზმის საქმისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ ტერორის გზას.

სწორედ ესენი — ტროცკისტები, ზინოვიეველები — არიან მოწინავე კოლმეურნეობათა ცალკე ხელმძღვანელებისა და სტახანოველების ფარულ საზიზღარ მკვლელობათა ორგანიზატორები სოფლად.

სწორედ ესენი არიან, ცალკეულ მუშათა სასადილოებში საჭმელში საწამლავს რომ ურევენ, რათა ქარხნის საუკეთესო სტახანოველები მოსწამლონ.

სწორედ ესენი არიან, ჯაშუშთა და სადივერსიო ჯგუფებს რომ აყალიბებენ, რათა ხელი შეუწყონ ფაშისტებსა და იმპერიალისტებს საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში.

სწორედ ესენი არიან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ხელყოფის მოსამზადებლად ტერორისტულ ჯგუფებს რომ ჰქმნიან.

მაგრამ ისინი სასტიკად სცდებიან თავის ანგარიშში.

თავისი სასიკვდილო აგონიის დროს ამ მუქარით ისინი ვერავის დააშინებენ, ვერავის შეარყევენ.

ჩვენი ქვეყნის ბოლშევიკები და მშრომელი მასები გააძლიერებენ სტალინურ სიფხიზლეს და მტერს მისპობენ.

ამხანაგი **სტალინი** ამბობდა: მტრები „იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ დავეშინებინეთ და იძულებული გავეხადეთ გადაგვეხვია ლენინური გზიდან. ამ ადამიანებს, ალბად, დავიწყებიათ, რომ ჩვენ ბოლშევიკები,—განსაკუთრებული ყალიბის ადამიანები ვართ. მათ დავიწყებიათ, რომ ბოლშევიკებს ვერ შეაშინებთ ვერც სიძნელეებით, ვერც მუქარით. მათ დავიწყებიათ, რომ ჩვენ გაგვწრთობდა დიდი ლენინი, ჩვენი ბელადი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი მამა, რომელმაც არ იცოდა და არც სცნობდა შიშს ბრძოლაში, მათ დავიწყებიათ, რომ რაც უფრო მეტად ცოფდებიან მტრები და რაც უფრო მეტი ისტერიკა მოსდით მოწინააღმდეგეებს პარტიის შიგნით, მით უფრო მეტად იკაჟებიან ბოლშევიკები ახალი ბრძოლისათვის და მით უფრო სწრაფად მიიწევენ წინ“.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრებს დავიწყებიათ, რომ ჩვენს პარტიასა და ქვეყანას ხელმძღვანელობენ სტალინური ცენტრალური კომიტეტი და გენიალური დიდი ბელადი **სტალინი — ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი მამა, რომელიც არ სცნობს ბრძოლაში შიშს და მხოლოდ წინ მივყავართ, რომელიც გვაძლევს ბოლშევიკური სიფხიზლის ნიმუშებს და მტრების მახვილს არიდებს პროლეტარულ რევოლუციას,** რომელიც როგორც დარაჯი, დგას ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ძლიერების საგუშაგოზე.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები მთელ პარტიასთან ერთად კიდევ უფრო აამაღლებენ შემტევ სიფხიზლეს და გააძლიერებენ დაუნდობელ ბრძოლას თვალთმაქცების, საზიზღარი მოღალატეებისა და გამცემლების, კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ-ზინოვიეველებისა და მათი ხელისშემწყობების წინააღმდეგ, გააცამტვერებენ სოციალიზმის მტრებს.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები თვითეულ კომუნისტსა და კომკავშირელს, თვითეულ მშრომელს დაუღალავად აღუზრდიან ღრმა სიძულვილს მტრების მიმართ, და მასების მძვინვარებას გააძლიერებენ განადგურებული ექსპლოატატორული კლასებისა და მათი აგენტურის ნარჩენთა კონტრრევოლუციური ხრიკების წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მშრომელების გულში შემდეგაც დაუღალავად აღზრდიან სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას თავისი აყვავებული სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი, ხალხთა ბელადის, მშობლიური, დიდი სტალინისადმი, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობით სსრ კავშირში მოპოვებულია კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი გამარჯვება სოციალიზმისა და რომლის ხელმძღვანელობით მთელი მსოფლიოს მშრომელნი კაპიტალიზმთან გადამწყვეტ შეტაკებებში დიად გამარჯვებებს მიაღწევენ.

◇◇

რევოლუციური სიფხიზლე და შეურიგებლობა!

ერთსულოვანი რევოლუციური მღელვარებით გამოეხმაურა საქართველოს საბჭოთა მწერლობა ტროცკისტ-ზინოვიეველთა ტერორისტული ბანდის გასამართლებას და პროლეტარულ მართლმსაჯულების ბრძნულ განაჩენს, რომელმაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა საერთაშორისო კონტრრევოლუციის საზიზღარ აგენტებს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების საერთო კრებაზე და ქართველ მწერალთა იმ წერილებში, რომლებსაც დღეს ვაქვეყნებთ, მთელი სიძლიერით გამოიხატა ქართული საბჭოთა მწერლობის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხ. **სტალინისადმი**. განუზომელია და ღრმა ჩვენი სამწერლო საზოგადოებრიობის ზიზღი და გულისწყრომა ხალხის მოსისხლე მტრების ტერორისა და მკვლელობის გარეწარი ორგანიზატორების მიმართ. ამ გრძნობებით არის გამსჭვალული ის წერილები, რომლებიც გაუგზავნა ქართველ მწერალთა საერთო კრებამ ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს **დიდ სტალინს** და მის ერთგულ მოწაფეს, საქართველოს ბოლშევიკების სახელოვან ხელმძღვანელს — ამხ. **ლავრენტი ბერიას**.

არავითარი დამშვიდება და თვითკმაყოფილება. არავითარი ილუზიები კლასობრივი ბრძოლის შენელების შესახებ. გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე და ბრძოლის უნარიანობა. ასეთი აზრებით არის გამსჭვალული დღეს დიადი საბჭოთა ხალხი და ეს გარემოება უდიდეს ამოცანებს აყენებს საბჭოთა ლიტერატურის წინაშე.

მხატვრული მწერლობა და ბეჭდვითი სიტყვა მასებზე ზემოქმედების უძლიერესი იარაღია. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ იარაღს გულმოდგინედ ებღაუჭებიან განადგურებული კონტრრევოლუციის გაცოფებული ნამსხვრევები. მოსკოვის მწერალთა კრებაზე გამომჟღავნებული ფაქტები **პიკელის, სელივანოვსკის, გ. სერებრიაკოვას, ტარასოვ-როდიონოვის, გრუდსკაიას** და **ტროშჩენკოს** კონტრრევოლუციურ მოღალატური მუშაობის შესახებ აშკარად ადასტურებენ ამ გარემოებას.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქართულ საბჭოთა მწერლობაში გამომჟღავნებულ იქმნა კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ჯგუფი ქიქოძე-ნაროუშვილ-ფელდმანშვილისა, გაუსწორებელი კონტრრევოლუციონერის ვარდინის ეს [illegible] დამქაშები, შენიღბულნი არქირევოლუციური ფრაზეოლოგიით დიდხანს წამლავდნენ ქართული საბჭოთა მწერლობის ატმოსფეროს.

მათ აშკარა იერიშები მიჰქონდათ კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების ლენინურ თეორიაზე და ცდილობდნენ მუშათა კლასისათვის ხელიდან გამოეცალათ სოციალისტური კულტურის მშენებლობის ისეთი ძლიერი იარაღი, როგორიცაა კრიტიკულად ათვისებული და გამოყენებული კულტურული მემკვიდრეობა. ისინი ნიჰილისტურად უარყოფდნენ საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებს. ისინი იბრძოდნენ საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მეთოდის— სოციალისტური რეალიზმის წინააღმდეგ და „რომანტიული ლოზუნგების“ ნიღბით შემოსილნი ცდილობდნენ აეცდინათ ქართული საბჭოთა მწერლობა ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ასახვისა და ამ სინამდვილის განმტკიცებისათვის ბრძოლის გზიდან.

ტროცკიზმის ეს უბადრუკი ნაბოლარები მთელი სიმკაცრით იქნენ თავის დროზე დაგმობილი და განდევნილი საბჭოთა მწერლობის რიგებიდან, მაგრამ ამით არ დასრულებულა კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ცდები ფეხი მოეკიდათ საბჭოთა ლიტერატურის ფრონტზე.

საგულისხმოა რომ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობაში მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობის საქმე ხელთიგდო შენიღბულმა ტროცკისტმა **ლიდა გასვიანმა**.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ დღეს უკვე გამომჟღავნებული ტროცკისტი **სერგო აბულაძე** მეტად აქტიურად ანვითარებდა თავის მავნებლურ „მოღვაწეობას“ ქართული საბჭოთა მწერლობის მიმართ.

ლიტერატურულ ხულიგნობამდე მისული მეთოდებით, ლაყბობით, ჭორებითა და ცილისწამებით იგი ცდილობდა მოეხდინა იმ სალიტერატურო პოლიტიკის დისკრედიტაცია, რომელსაც პარტიის ხელმძღვანელობით ანხორციელებს საქართველოს საბჭოთა მწერლობის ორგანიზაცია. სარგებლობდა რა კომკავშირული გაზეთის რედაქტორის მდგომარეობით, იგი ცდილობდა გავლენა მოეხდინა საბჭოთა მწერლობის გარკვეულ ფენებზე და შექმნა მათ შორის უკმაყოფილებისა და ჯგუფობრივი კინკლაობის ატმოსფერა.

ცნობილია, თუ როგორი ღვარძლით და მტრული მძულვარებით იყო განწყობილი გაუსწორებელი ტროცკისტი **სევასტი თალაკვაძე** ყველა იმ ღონისძიებათა მიმართ, რომელსაც ანხორციელებს პარტია და ხელისუფლება სოციალისტური კულტურისა და კერძოთ საბჭოთა მწერლობის დარგში.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის და ამ სექციის ხელმძღვანელობის პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნება, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ სექციის რიგებში უკანასკნელ დღეებამდე განაგრძობდა მუშაობას აშკარათ — ტერორისტულად განწყობილი კონტრრევოლუციონერი **ხალათიანი**. სექციის მთელ რიგ წევრებმა იცოდა ხალათიანის ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციონური მოქმედების შესახებ. მაგრამ არავინ ჩათვალა თავი ვალდებულად მიეღო ზომები სათანადო დასკვნისათვის. და მას შემდეგაც კი, როცა პარტიამ ნიღაბი ახადა ტროცკიზმის ამ უბადრუკ ნაშიერს, ხალათიანი კვლავ განაგრძობდა სექციაში მუშაობას საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გახრწნილ ბანდიტს და ხალხის მოსისხლე მტერს ჩაბარებული ჰქონდა მწერალთა ორგანიზაციის მუშაობის ისეთი საპასუხისმგებლო უბანი, როგორიცაა ახალგაზრდა სომეხ მწერალთა ლიტერატურული კადრების აღზრდის საქმე. ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ გამოიყენებდა ამ მდგომარეობას პოლიტიკური ქორები, საზიზღარი ტერორისტული განწყობილებების, ინტრიგების, პროვოკაციების და ლიტერატურული მავნებლობის ეს იშვიათი „ოსტატი“.

ცხადია მწერალთა კავშირის სომხურმა სექციამ და მისმა ხელმძღვანელმა **ალასი ვართანიანმა** ტროცკისტ ხალათიანის მიმართ დამოკიდებულებაში მოგვცა დამპალი ლიბერალიზმის და კლასობრივი ალღოს დაჩლუნგების იშვიათი ნიმუში.

ამ ფაქტიდან დაუყოვნებლივ უნდა გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები, მკაცრად უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც ხელს აფარებდენ ტროცკისტ კონტრრევოლუციონერ ხალათიანის მავნებლურ საქმიანობას და პირიქით, გულუხვად უთმობდენ მას ტრიბუნას საქართველოს რადიო-გადაცემათა კომიტეტში, გაზეთ „პროლეტარის“ და ჟურნალ „არშავ“-ის რედაქციებში, მწერალთა კავშირის სომხურ სექციაში.

საბჭოთა მწერლების ორგანიზაცია უნდა წარმოადგენდეს უაღრესად ფხიზელ, უაღრესად ბრძოლის უნარიან პოლიტიკურ კოლექტივს, რომელმაც არ იცის არავითარი დანდობა და ლმობიერება კლასობრივი მტრების მიმართ, ამას გვასწავლის ჩვენ ყოველდღიურად სოციალიზმის გენიალური მესაჭე დიდი **სტალინი**, აქეთკენ მოგვიწოდებს ამხ. **ლავრენტი ბერიას** წერილი „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“.

საქართველოს საბჭოთა მწერლობამ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს იმ ფაქტებიდანაც, რომლებიც გამომჟღავნებული იქნა სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირში. საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა ნაციონალიზმის რეციდივების და კლასობრივად მტრული იდეების ყოველგვარი გამოვლინებათა წინააღმდეგ.

მაგრამ საბჭოთა მწერლობისათვის საკმარისი არ არის მარტო საკუთარი რიგების იდეური სიწმინდის დაცვა. მწერლობა მასების კომუნისტური აღზრდის უძლიერესი იარაღია. ამიტომ მწერლობისაგან პარტია და საბჭოთა ხალხი მოითხოვს, რომ მხატვრული სიტყვის იარაღით იგი უფრო და უფრო აძლიერებდეს ხალხის რევოლუციურ აღფრთოვანებას, ხალხის საბრძოლო ენტუზიაზმს და სიფხიზლეს. მხატვრული მწერლობა კიდევ მეტი ენერგიით უნდა იბრძოდეს ხალხის გულში ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და ჩვენი დიდი ბელადისადმი სიყვარულის და ერთგულების გრძნობას უფრო და უფრო გასაღვივებლად, გრძნობის, რომელმაც ასეთის ძლიერებით დაიჭექა საბჭოთა ხალხის სიღრმიდან ტროცკისტ-ზინოვიეველთა ავაზაკური ბანდის გასამართლების დღეებში.

ჩვენმა მწერლობამ მხატვრული მეტყველების ბასრი იარაღით უნდა დანერგოს ხალხის შეგნებაში კლასობრივი მტრისადმი ზიზღისა და გულისწყრომის რევოლუციური გრძნობა. ამას გვასწავლიდა ჩვენი ქვეყნის პირველი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი. ამის საუკეთესო ნიმუშებს გვაძლევდა ჩვენი რევოლუციის უდიდესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ სიტყვა მისცა ხალხთა დიდ ბელადს ამხ. სტალინს და მის ერთგულ მოწაფეს ამხ. ლავრენტი ბერიას, რომ იგი კიდევ უფრო დარაზმული, ლენინ-სტალინის დიადი დროშის გარშემო მედგრათ იბრძოლებს სოციალიზმის ძლევამოსილობისათვის. ამ დავალების ურყევათ განხორციელება წარმოადგენს წმინდათა წმინდა მოვალეობას ყველა საბჭოთა მწერლისათვის, საბჭოთა მწერლობის მთელი კოლექტივისათვის.

ჩვენი დროშა

ნიკოლო მიწიშვილი

„ხარ ჩვენი დროშა უდრეკელი ფოლადის კაცი"

ჩვენი დროშა, რომელიც დინჯი რხევით მიუძღვის წინ მილიონებს, გა- მუშათა კლასს; „ნათლის სვეტი", რომელიც გადმოსდგომია ქვეყნებს ს, ყველას, ვინც მიდის შრომისა და თავისუფლების პატიოსანი გზით. სტალინი საბჭოთა ხალხებისათვის, კაცობრიობისათვის, და თუ ჩვენი ლია და ამაყი სხვა საუკუნეთა შორის,—ეს იმიტომ, რომ მას აკე- ებს სტალინის გენია.

გვახსოვს ბიბლიური ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ სა- გაჰკვეთა წინასწარმეტყველმა მეწამული ზღვა კიდით კიდემდე, რო- და გაიყვანა დევნილი ხალხი მან აღთქმის ქვეყანაში. ენდაა, მაგრამ ჩვენ ვიცით ცოცხალი სინამდვილე,—ამის მოწამე და მოწა- ვართ,—თუ როგორ მოსწყდა ძველ სამყაროს 170 მილიონი ტანჯუ- როგორ მივიდა ეს ხალხი ლენინ-სტალინის დროშით სოციალიზმის ქვე- და როგორ დაიმკვიდრა სტალინის წინამძღოლობით ამ ხალხმა ცხოვრება უმჯობესი.

იბრძვის ამისთვის იოსებ სტალინი, ორმოცი წელიწადი- ცი წელიწადი კაცობრიობის წინ ეს ბრძოლებში გამობრძმედილი დროშა, მშრომელი საკუთარი სხეულით ჰფარავს ამ დროშას და შეხარის მას ყვე- წელიწადია საკუთარი ადამიანი, როგორც უძვირფასეს განძს, როგორც იმედსა და დღეს, გარედან მოგზავნილნი, დაქირავებულნი, კაცობაზე ხელაღე- ო, ზინოვიევი, კამენევი და მათი მიმდევი ნაძირალები ეპოტინებიან ს, რათა გადატეხონ და გასთელონ იგი.

იანიჩარები, ჰლამობდნენ, დაუფლებოდნენ საქმეს,—მათს გარეშე ხალხს—არა მათის ღვაწლით წარჩინებულს, ქვეყანას — მათ და უნდოდათ, რომ ყოველივე ეს მიეწურის ერთგულებით დაალაგონ მომაკვდავ სარეცელთან.

და მათი ბატონები ურთხელ კიდევ დარწმუნდენ, რომ სტალი- ხალხის ბედია, სტალინის მტერი—ხალხის მტერია და ხალხის მტერი — იოსებ სტალინისა. და თუ ორმოცი წლის გამავალობაში სტალინი იყო ოცნების განსახიერება და ხალხის საამაყო დროშა,—დღეს ყოველი პი- 170 მილიონ ადამიანთა შორის ბედნიერად ჩასთვლის თავს—საკუთარი იგებს იმ ტყვიას, რომლითაც მუხანათი მტერი ამ, ხალხისათვის უსაყვარლეს ადამიანს დაემუქრება.

> მშრომელთა შვილო, ჩვენო მამავ, ჩვენო იმედო,
> უსაყვარლესო მოგონებავ ქართველი დედის,
> ხალხის მარჯვენავ, აღზიდველო ტვირთთა მძიმეთა
> და აღმართულო, როგორც შუბლი უმაღლეს ქედის,
> გვინდა იცოცხლო, გვინდა იდგე, გვინდა იმეტო,
> მშვიდობა შენდა, გამგეო მრავალთა ბედის.

მართლ ქართველი პოეტი ათბობს თავის გულში სიტყვებს სტალინის ობისა და მშვიდობისათვის? ყოველი მშრომელი ადამიანი ჰფიქრობს ასე, სტალინმა, ხალხურ ყამირზე აღმოსულმა კაცმა, აღამაღლა ხალხი ქვეყ-

მარჯვენა დღეს სტალინის სახელითაა შეიარაღებული, ყოველი თვალი— ალინის მზით, ყოველი გული სცემს, ადამიანის სიყვარულით აღვსილი გულთან ერთად.

ოცხალ - მკვდარი ნაძირალები კი ჰფიქრობდნენ, თითქოს ერთი ტყვიით მილიონ ხელის გახმობა, დაბნელება მილიონ თვალთა და მოკვლა მი- ლთა.

ხის მტრებმა ამ მილიონთა სამსჯავროს წინაშე უკანასკნელად წაიღეს საკუთარი გახრწნისა და სიკვდილის ამბავი. ჭეშმარიტად, მათი ლეში არ ბაროს საბჭოთა მიწამ, რადგან ეს მიწა მორწყულია და გაპოხიერებულია ხალხის წმინდა სისხლით.

დამთავრდა სამარცხვინო ამბავი ხალხის მტერთა, და ყოველგვარ სინანუ- ში უნდა გავიმეოროთ ძველი ბერძნული ფრაზა, რომ დღე მათი დას-

> „ყო ჭეშმარიტად ბრწყინვალე დღე".

ქმება, ეს უნდა ითქვას დღესაც და ყოველთვის და ყველგან უნდა —

> „გაცამტვერდეს, გასწყდეს მტერი
> ხალხისა და სტალინისა".

ინის დროშა კი იფრიალებს. ის წაგვიძღვება ჩვენ გამარჯვებიდან გამარჯ- ის აღიმართება მსოფლიო კაპიტალიზმის ნანგრევებზე და კიდევ უფრო წევს ამ დროშას ყოველი ქვეყნის მშრომელთა გაერთიანებული ძალა.

სიკვდილი მუხანათ მკვლელებს

ალექსანდრე აბაშელი

ცა კითხულობ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბანდიტების გა- ების ცნობებს გაზეთებში, გაოცებს — ნუთუ შესაძლებელია ა პოლიტიკური გახრწნისა და გაუგონარი არამზადობის ისეთი ლი, რომელშიაც ჩაცვივდნენ ტროცკი-ზინოვიევი-კამენევი დამნაშავენი! დიდი დაფიქრება არ არის საჭირო იმის გამოსარ- რომ ის ბანდიტები, რომელთაც დღეს ასამართლებს გამარჯვე- პროლეტარიატის სასამართლო, არასოდეს არ ყოფილა მუშათა ინტერესებისათვის გულწრფელი მებრძოლნი; ისინი მუშათა ყოველ გასაჭირის დროს ღალატობდნენ და ყოველი ღალატის დამარცხებულნი, შერცხვენილნი და თავლაფდასხმულნი, თვალთ- ად ბრუნდებოდნენ უკან და შხამიან გველებივით იხახავ- ჯვე დროისთვის გამცემლობისა და ვერაგობის გესლს. და აი გესლი სავსებით გადმოანთხიეს. მათ მოჰკლეს დიდი სტალინის სო თანამებრძოლი, მშრომელი ხალხის საყვარელი კიროვი და ს უმზადებდნენ სოციალიზმის ბრწყინვალე მშენებელს—საბ- ვშირის ხალხთა უსაყვარლეს ბელადს სტალინს და პარტიისა და ის სხვა ხელმძღვანელებს.

და მიზღოდათ მათ ამის საპასუხოდ?

იყოს სიკვდილზე უფრო სასტიკი სასჯელი, ისინი ამის ღირს ნ.

დილი მუხანათ მკვლელებს და საყოველთაო ზიზღი მათ მურ- ენას!

რო მტკიცედ, უფრო მეტის სიფხიზლითა და გულისყურით ამო- გვერდში ჩვენს საყვარელ ბელადს და მომეტებულის რწმენით მის მიერ განათებული გზით.

არც შებრალება, არც მოთმინება

ირაკლი აბაშიძე

ვერ აღასრულეს.
ადრე შევასწრეთ—
ნახეთ ღალატი და საძრახელი;
დიდ საბჭოეთის ვერც ერთ ენაზე
ვერ მოვუძებნეთ მკვლელებს სახელი.

დავარქვით მტერი,
ბრბო,
მუხანათი,
მავნე, აჩრდილის სახე ყვითელი,
დავარქვით მხეცი და მოღალატე
ბოროტი,
ტროცკი
და გამყიდველი.

გარეწარობა, უილაჯობა,
ბაიძღვრა, და ნაკაცარები
ქვეყნის ყოველგვარ ზმოგბას აჯობა
და დარჩა ლანძღვად მათი გვარები.

მკვლელებს დიდრისხვა
მათ ქვა და გუნდა
არც შებრალება, არც მოთმინება
უნდა სცოცხლობდეს ბელადი, უნდა,
ჩვენი სიბრძნე და აღორძინება.

ის ჩვენში არის
მრავალათასში,
და ამ ათასებს ვინც გაახელებს
მაშინ ერთპირად
ხალხი გადასჭრის
თავის ბელადზე აღმართულ ხელებს.

ბევრი დაღვარეს შხამი და სისხლი
საქმე ლაჩარი
და საძრახელი
მათ ჩაიტანეს სახელი თვისი
ვით ბოროტების ნაცვალსახელი.

შესრულდა ნება ხალხისა

მიხეილ ჯავახიშვილი

მე არ მახსოვს ტროცკი-ზინოვიევის ჯგუფზე უფრო მძაფრი და უფრო აღმაშფოთებელი მაგალითი ორპირობის და ვერაგობისა. ისინი „მუცელზე ხოხვით" შევიდნენ ხელახლა პარტიაში, რათა შიგნიდან დაერღვიათ იგი და ბელადების დახოცვით მიეღწიათ თავიანთი ბნელი მიზნისათვის, რომელიც ისევე ბუჟყიანია და წვრილფეხა, როგორც მისი ავტორები. არავითარი იდეა, არავითარი პროგრამა, გარდა პირადული ცუდმედიდობისა — განა ამაზე უფრო მეტად დაკნინება კიდევ შეიძლება? გამეტება უდიდესი ადამიანის სტალინისა და მისი მახლობელი თანამშრომლებისა — განა ამაზე უფრო საზიზღარი მზაკვრობა კიდევ წარმოსადგენია? ეს ბანდა ნაძირალ ავაზაკებად იქცა და თავის ხვედრი დაიმსახურა: ვინც ჩვენი სტალინი არ დაინდო, თვითონ ისიც არ არის დასანდობელი. ხალხის რისხვა განუზომელია და შესრულდეს ნება მისი!

არც იდეა, არც კაცობა არ აღმოაჩნდათ

დემნა შენგელაია

კაცის მკვლელების, გამცემლების და ქვეწარმავალთა სახელები სისინებენ ეს რამდენიმე დღეა და ჰბილწავენ ჩვენს ადამიანურ ღირსებას. გესტაპო, პოლიტიკური პროსტიტუცია, კონტრრევოლუციონური კლოაკა, — აი ასპარეზი მათი „მოღვაწეობისა" და გეზიზღება ასეთ ხროვაზე, არამცთუ წერა,—ფიქრიც გრცხვენია, რომ ოდესღაც ეს ბრბო გარეწართა იდგნენ პარტიის რიგებში.

ყოველი სახელი ამ ზნედაცემულთა იწვევს აღშფოთებას და მზადა ხარ გადააფურთხო, ცდილობ, რაც შეიძლება, მალე დაივიწყო ეს საზიზღარი სახელები, არც იდეა, არც კაცობა, არც სირცხვილ-ნამუსი იმათ არ ჰქონიათ და მათთვის გეცოდება ეს მართლაც საცოდავი სიკვდილი, რომელიც მისტიკოსებსა და ბნელ ხალხთა რწმენას ცოცხალ არსებად წარმოუდგენია.

რამდენადაც ბრწყინვალეა გამარჯვება, იმდენად მეტი სიფხიზლე და სიფრთხილე გვმართებს, რადგან იძაბადევე დიდია საზიზღარი მტრისა და ბნელეთის ძალთა გაბოროტებული კბილთა ღრჭენა.

სტალინი, — ეს სახელი უდიდესი სიამაყით ავსებს ჩვენს გულს, ეს სახელი უბრწყინვალესი სამანია იმისა, თუ რა უმაღლეს მწვერვალებს შეუძლია მიაღწიოს სოციალისტური კეთილშობილი იდეებით ფრთაშესხმულმა ადამიანმა და ამ სიმაღლიდან კიდევ მეტად გეზიზღება ეს ხროვა ფაშიზმის გაბოროტებულ მოციქულებისა.

მხოლოდ სიკვდილი გამოასწორებს

კონსტანტინე გამსახურდია

არც როგორც მწერალს, არც როგორც ადამიანს და მოქალაქეს ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა არ მიქადაგნია, რადგანაც მუდამ ასე მჯეროდა: კაცს სიკვდილამდის გრძელი გზა აქვს მეთქი გამოსწორების. ასე ვფიქრობდი რადგან მწერლობა, ჩემის აზრით, უაღრესად ზნეობრივი კატეგორიის ფაქტორია და სწორედ მწერალს უნდა აღმოაჩნდეს ყოველ შემთხვევაში ყველაზე დიდი სულგრძელობა, ჰუმანიურობის დიდი გრძნობით ჩაჩაღებული.

ამ თვალსაზრისიდან შემიხედავს როგორც ქვეყნის, ისე ჩემი პირადი მტრისათვის, მაგრამ როცა ჩვენი ხალხის მტრების შესახებ ამხ. **ლავრენტი ბერიას** უაღრესად მართებული და დიდი პრინციპიალობის მქონე წერილი და ტროცკისტების პროცესის სტენოგრამები გადავიკითხე, საქვეყნოდ ვამბობ: ვინც მთელი მსოფლიოს სიამაყის ამხ. **სტალინისა** და მისი თანამებრძოლების მოკვლას ლამობდა, მათ მხოლოდ სიკვდილი თუ გამოასწორებთ. ისეთ დროს, როცა საქართველოს და საბჭოთა კავშირის მთავრობამ უდიდესი დაბრკოლებანი გადალახეს, როცა ქვეყანა დიადი აღორძინების გზაზე დამდგარი, როცა საგარეო მტერი მახვილს ილესავს და მთელს მსოფლიოში გააფთრებული ვაქხანალიაა გამართული ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ, როცა ჯოჯოხეთური ძალები შეთქმულან, რათა ჩვენი ყანების, ჩვენი ქარხნების, ჩვენი ლაბორატორიების, ჩვენი უნივერსიტეტების, ჩვენი მწერლების და სკოლების მშვიდობიანი მუშაობა შეგვაწყვეტინონ და მახვილი შეგვაჩერონ ხელში. ტროცკის, კამენევის, ზინოვიევისა და ძმათა მათთა ბანდები უკავშირდებოდნენ ფაშისტებს და მსოფლიოს ყველა შავბნელ, კონტრრევოლუციურ ძალებს ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

უკანასკნელი ყაჩაღიც არ იკადრებს საბრალმდებლო სკამზედ იმის განცხადებას, რაც ამ არამზადებმა იკადრეს: რაკი ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა, ჩვენ გადავსწყვიტეთ ბელადები მოგვეკლა და ძალაუფლება ხელში ჩაგვეგდოო.

რამდენადაც საშინელი და შემაძრწუნებელია ამ სიტყვების გაგონება, ბრალდებულთა პირიდან დაცდენილის, ასგზის მეტ გაბოროტებას იწვევენ ისინი ყოველი შეგნებული ადამიანის გულში და მოკლედ, მკაფიოდ, ურყევად ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ამ გარეწარებს: ვინც სტალინს და მის თანამებრძოლებს სიკვდილს უქადოდა, მათ მხოლოდ სიკვდილი გამოასწორებს.

სიკვდილი იმათ, ვიც ჩვენი ქვეყნის აღორძინებაში ხელს გვიშლის. სულ ერთია შინაური მტერი იქნება იგი თუ გარეგანი.

ახლანდელი და მომავალი თაობების ზიზღით დადაღულნი

ვალერიან გაფრინდაშვილი

ტროცკისტულ - ზინოვიევურ ბანდას ასამართლებს მთელი საბჭოთა **კავშირი.** ფეხზე დგას აღშფოთებული მრავალ-მილიონიანი ხალხი და მოითხოვს ყაჩაღების დასჯას. ჩვენ საქმე გვაქვს ყოვლად გათახსირებულ და გადაგვარებულ ადამიანებთან. კიროვის მოკვლა — ეს ისეთი დანაშაულია, რომელიც სდაღავს ტროცკის, ზინოვიევს, და მათ დამქაშებს ახლანდელი და მომავალი თაობების ზიზღით და შეჩვენებით.

პუშკინის მკვლელი არ იწვევს ისეთ ზიზღს და სიძულვილს, რომელსაც იწვევენ ჩვენი ბელადის ამხ. სტალინის საუკეთესო თანამოღვაწის და პარტიის ჭეშმარიტის შვილის — სერგეი კიროვის მკვლელნი. ისინი გაუსწორებელი ბანდიტები არიან, მათთვის არ არსებობს არავითარი ადამიანური ღირსება.

მათი ორპირობა, მათი გაიძვერობა, მათი ზნეობრივი სიმახინჯე უსაზღვროა. ამ ნაძირალებს განზრახული ჰქონდათ ჩვენი საყვარელი და ძვირფასი ბელადის ამხ. სტალინის და მისი უახლოესი თანამოღვაწეების მოკვლა. ეს განზრახვა ჰქმნის მათ სახელს საზიზღარი ღალატის სიმბოლოთ. ისინი უკვე მკვდარი არიან ზნეობრივად და მათ ვერავითარი ძალა ვერ გააცოცხლებს. ეს ბანდა, მოწყვეტილი ხალხისაგან, თავის კაბინეტებში აწყობდა ყოვლად უნამუსო და შემაძრწუნებელ გეგმებს მაშინ, როდესაც სოციალიზმი ყოველდღიურად ზეიმობს თავის გამარჯვებებს ჩვენი მშენებლობის სხვადასხვა ფრონტებზე. მაშინ, როდესაც ჩვენ გვაქვს სტალინური კონსტიტუცია, რომელიც არის, დაუსრულებელი სიმფონია ახალი ცხოვრებისა, როდესაც ჩვენი მფრინავები გმირულად ასრულებენ სტალინურ მარშრუტს, გამოდიან ახალი ტარტიუფები და იეზუიტები, ფაშიზმის აგენტები და ცდილობენ, ჩრდილი მიაყენონ ჩვენს ბედნიერებას, მაგრამ ეს მოღალატეები და ქვემძრომები ვერ შეაჩერებენ ჩვენი მქიდრო რიგების წინსვლას, ვინაიდან ჩვენი ხელმძღვანელი არის დიდი სტალინი— პირველი ინჟინერი ადამიანის სულისა.

ლიტერატურულ ფრონტზე ჩვენ გვმართებს მეტი სიფხიზლე. ჩვენ უნდა ვამხილოთ მტერი, რარიგ ნიღაბშიც არ უნდა მოგვევლინოს იგი. ჩვენს გადაუდებელ ამოცანას შეადგენს — ავსახოთ კლასობრივი მტრის სახე მწერლობაში და მით დავაჩქაროთ მტრის უკანასკნელი დამარცხება.

ზიზღი და სიძულვილი ხალხის და პარტიის მტრებს, ჩვენი ერთგული სიყვარული და აღტაცება ამხ. სტალინს, ლენინის სახელოვან მემკვიდრეს, რომელიც დაუშინებელ გუშაგად დგას სოციალიზმის სადარაჯოზე — მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გაასკეცებული სიფხიზლე გვმართებს

პავლე საყვარელიძე

კაცობრიობის ისტორიაში ოქტომბრის რევოლუცია პირველია, რომელმაც გათავისუფლება მიაიქა მშრომელ ხალხს და რომელმაც სახელმწიფოს სათავეში მშრომელი ხალხი დააყენა. ამიტომაც ასეთი გააფთრებით იბრძოდა და იბრძვის საერთაშორისო კონტრრევოლუცია საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიის მოჭიხავე რაზმს ხელმძღვანელობს ტროცკი-ზინოვიევ-კამენევის გაერთიანებული ჯგუფები. ორპირობა, ჯაშუშობა, ღალატი, და, ბოლოს, გერმანულ საიდუმლო პოლიციის — გესტაპოსთან დაძეგობრებით, გესტაპოს აგენტების შემწეობითა და დახმარებით საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებისათვის ტყვიის დამიზნება, — აი, ამ საერთაშორისო ბნელი ძალების ბინძურ ზრახვათა და მისწრაფებათა დღევანდელი გამოვლინება.

ამხ. კიროვის მუხანათური მოკვლა არ იყო მათი განზრახვების ერთადერთი მიზანი; მკვლელების ტყვია დამიზნებული ჰქონდა ამხ. ამხ. **სტალინს,** ვოროშილოვს, ორჯონიკიძეს, ჟდანოვს, კოსიორს, პოსტიშევს.

შინაგან საქმეთა კომისარიატმა დროზე მიუსწრო და დაუმოკლა ხელები ამ ვერაგ მკვლელებს. საბჭოთა კავშირის სამსჯავრომ მათ კუთვნილი მიუზღო. კონტრრევოლუციურ ქვემძრომებს — ამ ცოფიან ძაღლებს [illegible] გაუჩერჩებს.

ასეთი იყო განაჩენი მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის. იგი სისრულეში მოყვანილია.

მაგრამ მტერი მტრობას მაინც არ მოგვიშლის, მტერი მტრობაზე ხელს არ აიღებს. მათი აშკარა და ფარული შემოტევა კვლავ და კვლავ მოსალოდნელია. ამიტომ თვითეულ ჩვენთაგანს გასკეცებული სიფხიზლე მართებს. მტერი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს და იხმარს, რომ ჩვენ რიგებში შემოძვრეს, ცბიერებით და ორპირობით მოადუნოს ჩვენი სიფხიზლე, შეარყიოს ჩვენი რიგები.

საბჭოთა მწერლობის თვითეული წევრი ფხიზლად უნდა იდგეს თავის საპატიო საგუშაგოზე და, თუ, ვინიცობაა, ჩვენი რიგებიდან მოინდომებს მტერი რკალის გარღვევას, ჩვენ მას ამის საშუალებას არ მივცემთ.

ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ნაცადი ხელმძღვანელობით და მსოფლიოს მშრომელთა სწორუპოვარი ბელადის ამხ. **სტალინის** წინამძღოლობით მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთან ერთად რკინის ნაბიჯით მსოფლიო ოქტომბრისაკენ!

ისტორია არ აკმარებს მათ ამ სასჯელს

ლეო ქიაჩელი

კაცობრიობას არ ახსოვს ასეთი სამარცხვინო ბოძი, რომელზედაც პროლეტარიატმა ტროცკისტების და ზინოვიეველების ჯგუფი გააკრა. ხრც ასეთ მახინჯსა და ბოროტ სახეებს იცნობს ისტორია, რომლებიც კი ადამიანებს ნიღაბს ქვეშ გამოაჩნდათ. შემზარავია და ადამიანის შეურაცხმყოფელი ეს სახეები დაწყებული მეთაურებიდან და გათავებული აღმასრულებლებით. დიდი სტალინის მოკვლის განზრახვა ეს ხომ ახალი ქვეყნის მზის ჩაქრობის ცდაა, და რომელი აღშფოთება, რომელი რისხვა გამოხატავს იმ სულიერ განწყობილებას, რომელსაც თითოეულ ჩვენგანში მათი საშინელი აღსარება ჰბადებს. მაგრამ ულმობელმა ისტორიამ იცის ასეთი მოღალატეებს და ხალხის მტრების დასჯა: იგი არ აკმარებს მათ მხოლოოდენ განადგურებას. მათ სახელს თაობიდან თაობას გადასცემს, როგორც ყველაზე უმდაბლესი და უსაზიზღრესი ბოროტებისა და მუხანათობის სინონიმს.

ხალხის რისხვა და ზიზღი

სიმონ ჩიქოვანი

აღმაშფოთებელია და საზიზღარი მთელი „მოღვაწეობა" ტროცკის, ზინოვიევის და ყველა მათ მზგავს მაწანწალებისა. მათი მაწანწალობის საუკეთესო დამადასტურებელია მათი ზნეობრივი დაცემა და განუსაზღვრელი ბოროტება.

პირადი თვითმოყვარეობით და საზიზღარი შურიანობით აღვსილნი იბრძოდენ ისინი ჩვენი დიდი სამშობლოს წინააღმდეგ. მათ ვერაგულად მოჰკლეს ჩვენი ქვეყნის ერთი შესანიშნავი მოღვაწე ს. მ. კიროვი. მათ მოინდომეს მახვილის აღმართვა ჩვენი ქვეყნის დიადი ბელადის და მსოფლიოში უსაყვარლესი ადამიანის ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ. ისინი ცდილობდენ მოესპოთ ამხანაგ სტალინის თანამებრძოლნი და ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები. ისინი არიან გაბოროტებული და საზიზღარნი. დღეს ისინი შესაფერისად ღებულობენ მთელი ქვეყნის რისხვასა და ზიზღს და რასაკვირველია აქედან გამომდინარე განაჩენს, სასჯელს.

კინის კედლად შემოვევლებით ბელადის სიცოცხლეს

აქ. საბჭოთა მწერლების აქტივის კრებაზე

ლთა სასახლეს არ ახსოვს ელვარე აღგზნებული შეკ- ვისტოს საღამოს საქართვე- ბჭოთა მწერლობამ თავისი ა აღშფოთება, თავისი უმ- გულისწყრომა შეუერთა თა მრისხანებას, რომელიც ძრა ტროცკისტ-ზინოვიე- კონტრრევოლუციური ცენ- ასამართლების დროს გამომ- ულმა გარეწართა გაუგონარ- ლატებამ.

ერთს საათს სულგანაბული მწერლებით და მწერალთა აციის თანამშრომლებით ი დარბაზი მწერალთა კავ- თავმჯდომარეს ამხ. აკაკი შვილს, რომელმაც თავის სიტყვაში გააცნო რა ებს კონტრრევოლუციონერ- მართლების შედეგები, ერთ- ევე მოაგონა მათ, თუ რა ღალატს უმზადებდა ნაძი- ბრბო ჩვენს დიდ ქვეყანას. უპრინციპობა, გამცემლობა, აქცობა, გამყიდველობა, — ყო ამ ნაძირალთა დროშა,— ამხ. თათარიშვილი. აღია- რა თავის შეცდომებს, ეფი- რა პარტიას ერთგულებას, სტ - ზინოვიეველთა ბანდა როს მზაკვრულად ამზადებ- რისტულ აქტებს ჩვენი ქვეყ- კომუნისტური პარტიის საყ- ხელმძღვანელების წინააღმ- რველ რიგში, ჩვენი უსაყვარ- ელადის **სტალინის** წინააღმ- მძღოლსაც ჩვენი ქვეყანა მიჰ- და მიჰყავს გამარჯვებიდან ვებამდე. ამ ზნედაცემულ თა ბრბო აწყობდა უმსგავ- ქმულებას ჩვენი სამშობლოს ბისა და დამოუკიდებლობის დეგ, შეთქმულებას, რომე- ერმანული ფაშიზმის დახმა- ემყარებოდა. ...ვური სი- ო ბოლშევიკების პარტიი- საბჭოთა ხალხისადმი და ულური ტერორი,—აი რა ნებდა ამ უპრინციპო, მაგრამ უბოროტესი სიძულვილით გამსჭვალულ გარეწართა ჯგუფს. ეს იყო მათი ერთადერთი „პოლიტიკური პლატფორმა".

კონტრრევოლუციურ ნაძირალთა ამ უბადრუკ ჯგუფს არ შეეძლო რაიმე იდეა ჰქონოდა, რომ მას მხარს დაუჭერდა საბჭოთა ხალხის თუნდაც ძალზე უმნიშვნელო ნაწილი. ამ უბადრუკმა და მხდალმა ადამიანებმა არა ერთხელ მისცეს პარტიას ფიცი, რომ გამოსწორდებოდენ, მაგრამ სიმართლის ხატამალიც კი არ ყოფილა მათ მონანიებაში. ეს მონანიება აღმოჩნდა მხოლოდ ბინძური თვალთმაქცობა, პარტიისა და ქვეყნის უსირცხვილო მოტყუება.

მაგრამ პარტიასა და საბჭოთა ხალხს შესწევს უნარი გამოიცნოს თავისი მტერი, რა ნიღაბიც არ უნდა ჰქონდეს მას აფარებული. მათ სააშკარაოზე გამოიტანეს ჩვენი დაუძინებელი მოსისხლე მტრების ბნელი საქმეები, და ბოროტი ზრახვები, და დღეს ტროცკისტ-ზინოვიეველ ყაჩაღთა ხროვა, რომელიც საერთაშორისო კონტრრევოლუციის აგენტურას წარმოადგენდა და თავის ბნელ საქმიანობას გერმანული ფაშიზმის ნაცად იარაღზე—ინდივიდუალურ ტერორზე ამყარებდა, ეს ყაჩაღთა ბრბო, რომელიც საბჭოთა ხალხის დაღუპვას ოცნებობდა და რომელმაც ხელი აღმართა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო და უსაყვარლეს ხელმძღვანელებზე—დღეს პროლეტარული დიქტატურის მახვილით გაცამტვერებულია.

მათ მოსპობას უდიდესი კმაყოფილებით ხვდება სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა. მაგრამ ამ ფაქტით კმაყოფილი იგი სრულიადაც არ ეძლევა გულდამშვიდებას. მან იცის, რომ ულმობელი ბრძოლა ტროცკისტულ-ზინოვიევურ ყაჩაღებთან ამით როდი თავდება. მან იცის, რომ პოლიტიკურად და მორალურად გახრწნილი უპრინციპო ავანგარდი კონტრრევოლუციონური ბურჟუაზიისა იარაღს არ დაჰყრის. იგი თავს არ მიანებებს უმზგავსო ბრძოლას, იგი კვლავ შეეცდება მიაყენოს ზიანი ჩვენს ქვეყანას როგორც შიგნით, ისე გარედან.

ბოლშევიკური სიფხიზლე, მუდმივი სტალინური სიფხიზლე,—ასეთია დასკვნა, რომელიც გამოაქვს საბჭოთა ხალხს ამ დიდი გაკვეთილიდან. მტრის გამოცნობის უნარით, ბრძოლის ამ საიმედო და ძლიერი იარაღით უნდა აღიჭურვოს, იდეური შეურიგებლობით უნდა შეიარაღდეს თვითეული საბჭოთა მოქალაქე, პირველ რიგში პარტიის წევრი, რომ მტერმა ვერ შესძლოს ჩვენს წრეში შემოპარვა და მუხანათურად ზურგში მახვილის ჩაცემა.

კერძოთ, ჩვენმა ორგანიზაციამაც უნდა გამოიტანოს ამ პროცესიდან შესაფერი დასკვნები და გააძლიეროს სიფხიზლე კულტურის ფრონტზე. ჩვენი ვალია დავეხმაროთ პარტიას, რომ ყველა მოღალატის მზაკვრული მუშაობა სააშკარაოზე იქნას გამოტანილი. განსაკუთრებული გულმოდგინეობით უნდა იქნას შესწავლილი ჩვენს წრეშიც ამხ. **ლავრენტი ბერიას** წერილი: „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები" და გავაკეთოთ იქიდან საჭირო დასკვნები. როგორც ამხ. **ლ. ბერია** აღნიშნავს, სომეხ მწერალთა ერთ ჯგუფში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი ყოფილა დაშნაკური განწყობილებები და მათ შორის ჯერ კიდევ გასავალი ჰქონია ტროცკისტულ შეხედულებებს, რომ სომხეთის საბჭოთა მწერლების ერთი ნაწილი მხარს უჭერდა პარტიისა და ქვეყნის მოღალატეებს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების ორგანიზაცია ძირითადად პოლიტიკურად ჯანსაღი ორგანიზაციაა, მაგრამ ნაციონალისტურ, ტროცკისტულ განწყობილებების რეციდივებისაგან ის არ არის სავსებით დაზღვეული. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენი კავშირის ზოგიერთი წევრი მძიმეთ დაავადებული იყო შოვინიზმის სენით. დიდი სიფხიზლე და შეურიგებელი ბრძოლაა საჭირო, რომ ამ სენის ნაშთები საბოლოოდ აღმოიფხვრან ჩვენი მწერლობიდან.

მეორე მხრივ ჩვენს ორგანიზაციაში ერთ დროს თავს იფარავდნენ შენიღბული ტროცკისტები. მათი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ერთი მათგანი გარეწარი **პ. ქიქოძე** შეუზღუდავად თარეშობდა ჩვენი სალიტ. გაზეთის ფურცლებზე, არა მარტო თვით იგი და მისი ძმა ბიჭები, არამედ რევოლუციის და სოციალიზმის მოსისხლე მტერი, პარტიის მიერ არა ერთხელ მხილებული გაიძვერა **ვარდინი.** ამ ნაძირალებისაგან გაიწმინდა ჩვენი ორგანიზაცია, მაგრამ შესაძლებელია მისი ხაბოლარები აქა-იქ კიდევ დარჩენ და განაგრძობდნენ ბნელ საქმეებს. გვმართებს უდიდესი სიფხიზლე, მტრის გამოცნობის უნარით აღჭურვა, რომ ძირიანად ამოვაგდოთ მათი ფესვები, რომ ერთხელ და საბოლოოთ გავასუფთაოთ მათ მიერ მოწამლული ჰაერი.

კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ნამსხვრევებისაგან არც ჩვენი კავშირის სომხური სექცია აღმოჩნდა თავისუფალი. იქ მოკალათებული ყოფილა ვინმე ხალათიანი, შენიღბული ტროცკისტი, რომელიც თავს მწერალს უწოდებდა და გამხრწნელ კონტრრევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდა მწერლებში. სომხურის სექციის ხელმძღვანელობის (ა. ვართახიანი) სიფხიზლის მოდუნების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ პარტიიდან გაძევების შემდეგაც ხალათიანი მაინც განაგრძობდა სექციაში მუშაობას. ახლა სექციამ მოიშორა ეს მავნე ხორცმეტი.

ამ უკანასკნელ დღეებში გამომჟღავნდა, რომ ჩვენს წრესაც, ქართველ საბჭოთა მწერლების წრესაც ჰყოლია ულირსი წევრი. პარტიამ ნიღაბი ახადა სევასტი **თალაკვაძეს.** იგი ყოველთვის გაურბოდა ჩვენს ორგანიზაციაში გულწრფელ საქმიან მუშაობას, მუდამ ბუზღუნობდა, უკმაყოფილობას გამოსთქვამდა და თავის პასივობას ამართლებდა იმით, რომ მორცხვი კაცი ვარ და აქტიური არასოდეს არ ვყოფილვარო, მაგრამ ეს მორცხობაც მხოლოდ ნიღაბი აღმოჩნდა. ჩვენ კარგათ გვახსოვს, რომ იგი არა თუ მორცხვი, არამედ ძალიან უტიფარიც კი იყო, როცა თავის თანამოძმე ტროცკისტებთან ერთად გააფთრებით ებრძოდა პარტიას. დღეს იგი საბოლოოდ გამოაშკარავებულია და გაძევებულია პარტიიდან. ჩვენც ვალდებული ვართ, არ გავაჭაჭანოთ იგი ჩვენს წრეში და დაუყონებლივ მოვაშოროთ იგი ჩვენს ორგანიზაციას.

ცხადია სოციალისტური სამშობლოს მტრების რიცხვი ჩვენში მარტო ამ პირებით არ იფარგლება, ისინი კიდევ იქნებიან აქა იქ მიმალულნი. აღვზარდოთ, განვავითაროთ ჩვენს რიგებში ოსტატურად შენიღბული მტრის გამოცნობის უნარი, გავამახვილოთ ჩვენი სიფხიზლე, რომ მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად მიუვალ რკინის კედლად გარს შემოვერტყათ ჩვენს პარტიას, ჩვენი ქვეყნის საყვარელ ბელადებს, ჩვენს მშობლიურს დიდ **სტალინს,** რომელმაც მშრომელ ხალხს შეუქმნა ბედნიერი, საამური ცხოვრება. (მქუხარე ტაში, მთელი დარბაზი ფეხზე დგება და აწყობს ოვაციას საყვარელი ბელადის, — დიდი **სტალინის** და მისი სახელოვანი თანამებრძოლების პატივსაცემად).

ოვაციის დასრულების შემდეგ გამოდიან მწერლები - **ლეო ქიაჩელი, კ. გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, პავლე საყვარელიძე, გ. ბუხნიკაშვილი, გ. ლეონიძე, ვახო გორგაძე, ბენიტო ბუაჩიძე, დ. დემეტრაძე.**

თვითეული მწერლის სიტყვა გამსჭვალულია ულრმესი აღშფოთებით, ზიზღითა და სიძულვილით ხალხის მოღალატეებისადმი და ამავე დროს აუწერელი სიხარულით იმის გამო, რომ ჩვენ ქვეყანას წინანდებური სიცხოველით ათბობს და ანათებს სტალინის მზე.

— სანამ ვცოცხლობთ და გული გვიცემს, ჩვენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჩვენი სულის ჩამდგმელი, ჩვენი ჩამგონებელი იქნება უსაზღვრო სიყვარული დიდი სტალინისადმი. ყოველი ჩვენგანი მზად არის და მზად იქნება უკანასკნელი სისხლის წვეთამდე შეეწიროს სტალინის სიცოცხლეს, რომელიც რევოლუციის გამარჯვებისა და ხალხთა ბედნიერების სიმბოლოა. იცოცხლოს დიდხანს ჩვენმა ბელადმა ჩვენდა სანუგეშოდ და მტერთა გულის გასაგმირავად.

სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ამ სიტყვებზე მთელი დარბაზი ერთი კაცივით ფეხზე დგება და აწყობს ხანგრძლივ ოვაციას დიდი ბელადისადმი ულრმესი სიყვარულის გამოხატვის ნიშნად.

მწერლები ვრცლად ჩერდებიან იმ დიდ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მათზე მოახდინა ერთი მხრით პროცესზე გამომჟღავნებულმა გაუგონარმა თვალთმაქცობამ და გამცემლობამ და მეორე მხრით მასების იმ ერთსულოვანმა მრისხანებამ, რომლითაც მთელი ჩვენი სამშობლო შეხვდა ტროცკისტ - ზინოვიევური კონტრრევოლუციური ბანდის მუხანათობას.

მწერლები სრული ერთსულოვნებით შეხვდენ ამხ. თათარიშვილის მოწოდებას, რომ ყოველი მწერალი ვალდებულია გაამახვილოს სიფხიზლე, აღიჭურვოს შეურიგებლობით პარტიის მტრების მიმართ, რომ გვერდში ამოუდგეს პარტიასა და მთავრობას სამშობლოს მოღალატეთა გასანადგურებლად გაშლილ ბრძოლაში.

მთელმა აქტივმა ერთხმად მიიღო ამხ. **დ. დემეტრაძის** წინადადება — გარიცხულ იქნას საბჭოთა მწერლების რიგებიდან ქვეყნის მოღალატე — გაუსწორებელი თვალთმაქცი სევასტი თალაკვაძე. ფეხზე ადგომით და დიდხანს შეუწყვეტელი ტაშის ცემით ხვდება კრება დიდი ბელადის **ამხ. სტალინისა** და მისი საუკეთესო მოწაფის ამხ. **ლავრენტი ბერიასადმი** გასაგზავნ მისასალმებელ წერილების წაკითხვას.

ტროცკისტი—საბჭოთა მწერლის ნიღაბით

პარტიული დოკუმენტების შეცვლის დროს საქ. კ.პ.(ბ) ტფილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომში გამომჟღავნებულ და გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან გამოუსწორებელი ტროცკისტი „პოეტი“ გევორქ ხალათიანი.

ვინ არის გევორქ ხალათიანი?

გევორქ ხალათიანი (ლიტერატურული ფსევდონიმი გ. ხალათი) 1919 წლიდან იყო პარტიის რიგებში. დიდხანს მუშაობდა მასწავლებლად, პროფმუშაკად, დაუსრულებლივ რაიონიდან რაიონში, და ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა.

1931—32 სასწავლო წელს გ. ხალათიანი მუშაობდა ახალქალაქის პედტექნიკუმში ენის, ლიტერატურისა და საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებლად. სწორედ აქ იქნა არსებითად გამომჟღავნებული ამ თვალთმაქცის ტროცკისტული შეხედულებანი.

ის მეტად ფრთხილად და შენიღბვით უნერგავდა ტროცკისტულ შეხედულებებს თავის მოწაფეებს. ის ყოველმხრივ ცდილობდა ჩვენი პარტიის ისტორიაში ტროცკისტული კონტრაბანდის შეპარებას.

გ. ხალათიანმა 1932 წ. სოციალიზმის რაობა ასე აუხსნა მოწაფეებს: „სოციალიზმი ლამაზი ფრინველია, მას ან დავიჭერთ, ან ვერ დავიჭერთო“, ასეთ სისაძაგლისათვის გ. ხალათიანს ახალქალაქის რაიკომმა გამოუტანა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. მან პრესაში და სახალხოდ აღიარა თავისი ტროცკისტული შეცდომები და პირობა დასდო, რომ შემდგომში თავის მოქმედებით გაამართლებდა პარტიის წევრის სახელწოდებას.

რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის სერგეი მირონის-ძე კიროვის ვერაგულად მოკვლის დღეებში, ტროცკიზმის ამ საზიზღარმა აგენტმა ერთ ყოფილ ტროცკისტთან საუბარში, გაზეთ „პროლეტარის“ უპარტიო თანამშრომლების თანდასწრებით, განაცხადა: „ჩემო კარგო, გადასახლებული ზინოვიევი იქ უკეთ იცხოვრებს, იცხოვრებს უკეთესად, ვიდრე ჩვენ, „პროლეტარის“ თანამშრომლებიო“.

„პროლეტარის“ რედაქციის პარტორგანიზაციამ დროულად განიხილა ხალათიანის საქმე და ორჯონიკიძის სახელობის რაიკომმა კიდევ ერთი სასტიკი საყვედური გამოუტანა მას.

მაგრამ ის არ გამოსწორებულა და განაგრძობდა აშკარად თუ ფარულად თავის ბინძურ მოქმედებას, თვალთმაქცობდა, ჰორიკანობდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებზე.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, რომ ეს გამოუსწორებელი ტროცკისტი უნდა გაძევებული ყოფილიყო პარტიის რიგებიდან და სათანადოდ უნდა დასჯილიყო, მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ამ თვალთმაქცს ჩააბარეს მეტად პასუხსაგები უბანი — საქართველოს საბჭოთა მწერლების სომხური სექციის ახალგაზრდა მწერალთა ხელმძღვანელობა.

სწორედ აქ დაიწყო ხალათიანის „მოღვაწეობის“ ახალი პერიოდი.

აი მისი მუშაობის „საუკეთესო მაგალითები“ ახალგაზრდა მწერალთა ხელმძღვანელობის საქმეში:

„ვის რათ უნდა თქვენი ნაჯღაბნი, აი, მე ბევრი ვწერე, მაგრამ რა მივიღე?“—ეუბნებოდა ის ახალგაზრდებს.

ერთხელ, როდესაც გ. ხალათიანი და ერთერთი ახალგაზრდა მწერალი სომხური კულტურის სახლის (ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის შენობის გვერდითაა) აივანზე საუბრობდნენ, ხალათიანმა სთქვა: „რა ადვილია აქედან ტერორისტული აქტის ჩადენაო“. შემდეგ დაუმატა — გეხუმრებიო.

ხშირად ახალგაზრდებს, ჩვენი წარმატებებით გახარებულებს, ის გვეუბნებოდა: „მერე რა მოხდა, რომ ვაშენებთ?“.

ახალგაზრდათა შორის ყოფნისას ხშირად სახელს უტეხდა ცნობილ საბჭოთა მწერლებს.

საბავშო ლიტერატურის საკითხებზე მწერალთა კავშირის სომხური სექციის მიერ მოწყობილ კრებაზე ხალათიანმა განაცხადა: „ჩვენ ყველა ფულისთვისა ვწერთ, ამიტომაც არც ერთი ხეირიანი ნაწარმოები არა გვაქვსო“.

გარდა ამისა, მის უნიჭო ლექსებშიც ბევრი ტროცკისტული შეხედულებაა გაპარებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მწერლების სომხური სექციის ყოფილმა ხელმძღვანელობამაც ვერ გამოიჩინა საჭირო სიფხიზლე და მფარველობდა ტროცკისტ ხალათიანს.

მაგრამ ხალათიანს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ახალგაზრდა სომეხმა მწერლებმა სომხური სექციის ბიუროსთან ერთად გამოამჟღავნეს იგი, როგორც კლასობრივი მტერი, საბჭოთა ლიტერატურის მტერი და გააძევეს საბჭოთა მწერლების კავშირიდან.

რ. ლუსინიანი.

სვანური ფოლკლორი

სხვა კავკასიური იაფეტური ტიპების მსგავსად სვანებსაც არ გააჩნიათ დამწერლობითი ლიტერატურა. უხსოვარ დროიდან მოყოლებული სვანების მხატვრული შემოქმედებითი ლიტერატურა ზეპირსიტყვიერი ხასიათისაა. მასში მოცემულია ამ კუთხის ისტორიული წარსული, კლასობრივი ბრძოლა, რელიგიური რწმენა და ყოფაცხოვრება.

ტერიტორიალური სიახლოვის მიუხედავად, ქართველი მკითხველისათვის დღემდე ნაკლებად არის ცნობილი ის მდიდარი ხალხური შემოქმედება, რომელიც ამ პატარა კუთხეს გააჩნია. სვანური ზღაპრები, ლექსები, სიმღერები, შაირები, ლეგენდები, გადმოცემები, ანდაზები მრავალმხრივი და დიდმნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ფოლკლორულ ნიმუშებზე, რომლებიც ნაშთის სახით შემონახულა დღემდე და რომლებიც შესანიშნავად გადმოგვცემენ საგვარეულო წყობას, რის შესახებაც ისტორიას მეტად მცირე წერილობითი წყაროები მოეპოვება.

სვანური ფოლკლორის მეცნიერულად შესწავლა ახლა იწყება. რუსთველის სახელობის ინსტიტუტის ფოლკლორის სექციამ ამ ზაფხულს სვანეთში გაგზავნა ფოლკლორული ექსპედიცია სექციის გამგის ამხ. მიხეილ ჩიქოვანის ხელმძღვანელობით.

ექსპედიციამ ზემო და ქვემო სვანეთში შეაგროვა მეტად საინტერესო მასალა, რომელიც მოწმობს სვანების დიდ მხატვრულ შემოქმედებით უნარიანობას. ჩაწერილ იქნა სვანურ ენაზე ზღაპრები, ლექსები, ლეგენდები, ანდაზები და სხვ. მათ შორის აღსანიშნავია ზღაპრები და ლექსები ამირანის, როსტომის, თამარ მეფის, ყანსავ ყიფიანის, „ცანის [illegible]ათვის“, დალის, მონადირეების, კონსტანტინე დადეშქელიანის, თავადაზნაურობის, მღვდლების და დევათა შესახებ. სვანური ხალხური ლექსი მეტად თავისებურია და მრავალ ისეთ ელემენტს შეიცავს, რითაც იგი ქართული ლექსთწყობისაგან განსხვავდება.

ფოლკლორული მასალის ჩაწერა-[illegible]ერებაში მონაწილეობა მიიღეს სვანური ენისა და ხალხური შემოქმედების კარგად მცოდნე პირებმა: ე. გაბლიანმა, არს. ონიანმა, სები გულედანმა, ილ. ფალიანმა, ივ. ჯუჯეჯიანმა, მურ. დადეშქელიანმა, ი. მარგიანმა, ჯ. ფილფანმა, ეფრ. გულედანმა, დ. მარგიანმა და სხვ.

რუსთველის სახელობის ფოლკლორის სექცია აღნიშნულ მასალას დაამუშავებს და ცალკე წიგნად გამოსცემს ქართულ ენაზე.

ექსპედიციამ ადგილობრივად გამოჩინა აგრეთვე კორესპონდენტები.

მასალის შეგროვება გრძელდება.

მკითხველთა წერილები

დისკუსია „მთვარის მოტაცების“ გარშემო

გმირები, რომელნიც გმირულ გრძნობებს არ გვიღვივებენ

კონსტანტინე გამსახურდია, როცა მის „გოეთეს ცხოვრების რომანს“ გავეცანი, დიდი კულტურის მწერლად წარმომიდგა. ამიტომ ღრმა ინტერესით მოველოდი გამსახურდიას ახალი რომანის — „მთვარის მოტაცების“ გამოსვლას. უნდა ვაღიარო, რომ ეს ინტერესი რომანმა გაამართლა და იგი არ შენელებულა რომანის კითხვის მთელს მანძილზე.

ავტორმა გამოამჟღავნა მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატობა „მთვარის მოტაცება“-ში ბევრია ისეთი ადგილი, რომლის კითხვაც გულგრილად არ შეიძლება.

მიუხედავად ამ უდავო ღირსებისა, რომანიდან აშკარად სჩანს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ჯერ კიდევ საგრძნობლად ჰფლობს ძველი ადამიანის ფსიქოლოგია და შეგნება. ამით უნდა აიხსნას, სხვათა შორის, ის მელანქოლია, რომლითაც გაჟღენთილია „მთვარის მოტაცება“.

„მთვარის მოტაცებამ“ გვიჩვენა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას არა აქვს ახალი ცხოვრების ღრმა ცოდნა. მას კარგად შეუსწავლია ცხოვრების ერთი მხარე—მომაკვდავი კლასების სულისკვეთება და ტრაგედია, გამოწვეული ისტორიული აუცილებლობით.

გამსახურდიამ სწორედ საბჭოთა სინამდვილე წარმოადგინა „მთვარის მოტაცება“-ში ძალიან სუსტად. აშკარაა, ავტორს მასზე ზერელე წარმოდგენა აქვს. საქმეს, რა თქმა უნდა, ვერ შველის ის შტრიხები, რომლებითაც მოცემულია საგზაო მშენებლობა, კოლხიდის ჭაობების ამოშრობა და სხვა, რადგან მწერალს მოეთხოვება ამ შტრიხებთან ერთად, რაც მთავარია, ახალი ისტორიის მამოძრავებელი ადამიანების „სულის“ სწორად ჩვენება, დახატვა ისეთი ტიპებისა, რომელთა მოქმედება მაგალითი გახდება და რომელნიც აღზრდიან თაობებს.

ასეთ აღმზრდელობით ძალას, რა თქმა უნდა, მოკლებულია გამსახურდიას რომანის მთავარი გმირი, ახალი ცხოვრების შემომქმედი — კომკავშირელი არზაყანი, რომელიც უპირისპირდება და სდევნის ცხოვრების ასპარეზიდან თარაშ ემხვარებს.

არზაყანის პირველი დიდი დეფექტი ის არის, რომ მისი პირადი ცხოვრება მოწყვეტილია „არაპირად“ ცხოვრებას. არზაყანის ინტიმური ცხოვრება გადაჭარბებული და მახინჯია (სქესობრივი თავაშვებულობა და მამა-შვილის ავადმყოფური კონფლიქტები, რაც მამის მკვლელობით თავდება).

რომანის სუჟეტი, ერთი შეხედვით, თითქოს ვითარდება საკოლმეურნეო მოძრაობის და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ფონზე. ნამდვილად კი რომანში კაპიტალიზმის ფესვების ამოგლეჯაზე, ამ დიდ ისტორიულ მოვლენაზე ორი სიტყვა თუა ნათქვამი. კოლმეურნეობა დაარსდა არზაყანის ინიციატივითო, არზაყანის ცოცხალი საქმე, მისი მუშაობა კი ნაჩვენები არ არის, ისევე, როგორც საერთოდ არ არის ნაჩვენები არზაყანის, როგორც საზოგადოებრივი მუშაკის, სახე.

რომანიდან არა სჩანს კოლმეურნეობის დაარსების აუცილებლობა. კონსტანტინე გამსახურდია გაურბის ღარიბი გლეხების თუნდაც შტრიხებით ჩვენებას, თითქოს ისინი სოფლად არც კი იყვნენ. საბჭოთა გლეხების მონაწილეობის, საშუალო გლეხების ორგვარი ბუნების ჩვენების გარეშე სოფლად კლასობრივი ბრძოლების სურათის დახატვა არ შეიძლება ისე, რომ ის ცალმხრივი არ გამოვიდეს.

რომანის მეორე მთავარი გმირი, აფხაზეთის ფეოდალების ემხვარების უკანასკნელი წარმომადგენელი, თარაში, ინტელიგენტი. რომანის კითხვის დროს საბჭოთა სინამდვილის არზაყანისებურ (უფრო სწორად გამსახურდიასებურ) ფონზე თანდათან იხვეჭს მკითხველის სიმპატიებს. ხდება ეს იმიტომაც, რომ ავტორის მხატვრული შესაძლებლობა უმთავრესად ემხვარს ხმარდება. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ავტორს სურდეს გვითხრას: აი, ნახეთ, რა კეთილშობილი და მიმზიდველი არიან თარაშ ემხვარი და თამარ შერვაშიძე.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ გამსახურდიამ ისეთივე დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით შემოსა ყოფილი ექსპლოატორული კლასის წარმომადგენელი თარაშ ემხვარი, რომლისთვისაც უცხოა საბჭოთა სინამდვილე, როგორც ნ. ოსტროვსკიმ მუშათა კლასის ღირსეული შვილი პავლე კორჩაგინი. ხოლო რა დიდი უფსკრულია კორჩაგინსა და ემხვარს შორის?

იქნებ ავტორს სურდა თარაშ ემხვარის მაგალითით ეჩვენებინა წვრილბურჟუაზიულ დაბნეულობასა და ყოყმანში მყოფ ინტელიგენტების „ნეიტრალობის“ შეუსაბამობა და არარეალობა? მაგრამ ეს საკითხი ხომ უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს საბჭოთა ინტელიგენციისათვის. ამგვარად, ისევ კორჩაგინისა და ემხვარის პარალელს რომ გავყვეთ, გამოვა, რომ საბჭოთა მკითხველში ნ. ოსტროვსკის შეაქვს გმირული სული და საბჭოთა პატრიოტის დიდი სიძულვილი კლასობრივი მტრისადმი, კონსტანტინე გამსახურდიას კი—ისტორიულად განწირული კლასების სულიერი დავრდომილობა და საერთო განყენებული ჰუმანიზმი (ნამდვილი პროლეტარული ჰუმანიზმის ნაცვლად). კ. გამსახურდიას რომანის გმირები გმირულ გრძნობებს არ გვიღვივებენ.

ვახტანგ ძამაშვილი

რა მომწონს და რას უარვყოფ „მთვარის მოტაცებაში“

კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ წაკითხვის შემდეგ ამავე ავტორის „დიონისოს ღიმილი“ მოწინააღმდეგე პოლუსზე წარმომიდგა. რაღაც ახალი, უფრო ახლობელი ავტორი ვიგრძენი „მთვარის მოტაცებაში“. თანამედროვე თემისაკენ შემობრუნება, ცდა—მოგვცეს კომკავშირელის ტიპი, ასახოს ახალი ადამიანი და დღევანდელობის თვალსაზრისით განსჭვრიტოს მოვლენები, — აი რა ვნახე „მთვარის მოტაცებაში“.

დიდ ცოდნას, კულტურას ამჟღავნებს ავტორი. ახალგაზრდობას შეუძლია გაიცნოს ძველი აფხაზეთი და სამეგრელო, წარმოდგენა იქონიოს იტალიასა, გერმანიასა და საფრანგეთზე. უცხოეთის მასალა უხვად გამოუყენებია ავტორს, ორგანულად ჩაუქსოვია რომანში და დაუკავშირებია მის შინაარსთან. 15 საუკუნის მანძილზე გატარებთ ავტორი და ეპიზოდიურად გაცნობთ ეპოქებს და ქვეყნებს, ადამიანებს და ისტორიულ ძეგლებს.

ფორმის სხვადასხვაობაც არ აკლია „მთვარის მოტაცებას“. ჯერ მოყოლაა, შემდეგ, მსგავსად გოეთეს „ვერტერის ვნებანისა“, დღიურები. თვით გამსახურდიაც მიჰყვება თავის გმირებს სვანეთისაკენ. ეს არ არის მოწმის მგზავრობა, ან ცნობისმოყვარის გასეირნება. ავტორი — გამსახურდია, ისევე, როგორც თარაშ ემხვარი ან კაროლინა, რომანში მონაწილეობს, მოქმედებს. ჩვეულებრივ ნარკვევებში თუ გამოჩნდება ხოლმე ავტორი, დიდ რომანში ავტორის უშუალო მონაწილეობა პირველად ვნახე. ეს უეჭველად ორიგინალური ხერხია.

კ. გამსახურდიას რომანი სხვა მხრივაც ორიგინალური ნაწარმოებია. აიღეთ თუნდაც მეორე წიგნის დასაწყისი და, ბოლოს, მთვარის მოტაცება ენგურის მიერ. კითხულობ სათაურს და ვერ წარმოგიდგენია, თუ როგორ უნდა მოიტაცონ მთვარე. მთელი 747 გვერდის მანძილზე უკვირდები „მთვარიან ადგილებს“ და მკითხველის ეს სენსაციური ინტერესი მხოლოდ ფინალში კმაყოფილდება მხატვრის რამდენიმე მოხდენილი სტრიქონით.

ბევრი ქართული მხატვრული წიგნი წამიკითხავს, მაგრამ არსად არ შევხვედრივარ დოლის ისეთ აღწერას, როგორც კ. გამსახურდიას აქვს. დოლის კარგი მცოდნე უნდა იყო, რომ ასე სიყვარულით, ამაღელვებლად და წვრილმანებით აღწერო ცხენოსნობა. ალბათ, რომანის ამ თავების წაკითხვა ბევრს გაასეირნებს ცხენოსანთა ჯირითის საყურებლად.

„მთვარის მოტაცებას“, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, **დიდი წონა აქვს.** თავისებური, ვაჟკაცური სტილი და მოფიქრებული შედარებები... ინტრიგის კვანძების ლაბირინთში ვგრძნობდი თავს, და რომ არ დავბნეულიყავი, სუჟეტის განვითარებას გზადაგზა ვიხსენებდი, მომეწონა, რომ აქ მეწისქვილის გველიც ისევე მომქმედია, როგორც „ფსალმუნის რაინდი“ ტარიელ შარვაშიძე.

რომანში თანმიმდევრობით ვითარდება გმირების დამოკიდებულება. ავტორმა დამაჯერებლად მოგვცა მათი სახეები და აბეჭდა ისინი მკითხველის მეხსიერებაში. რომანში აღწერილი ფაქტები, დაწყებული სენტიმენტალური მგზავრობით და დამთავრებული არზაყანთან მისვლით, თარაშ ემხვარის მტრულ ბუნებას ამჟღავნებენ. მაგრამ ავტორი ერიდება — აწყენინოს თარაშ ემხვარს. ემხვარზე გულწრფელად ვბრაზდებოდი და მძაგდა იგი. ენგურთან ჭიდილი მისი ცხოვრების დასაწყისად ჩავთვალე.

თამარ შარვაშიძე შემეცოდა. პირიქით კი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ავტორის ბრალია, რომელმაც არაფერი დაზოგა გადმოეცა მოწინააღმდეგე ბანაკიდან გამოსული ქალიშვილის ტანჯვა-წამება და თავის სიმპატიაც მისკენ მიმართა. ძაბულზე არაფერს ვიტყვი. სათნო და კარგი ადამიანია, გულწრფელი. გვანჯ აფაქიძეზე სადაო არაფერი დარჩენილა. შარდინ ალშიბაიას თამადობაზე გულიანად ვიცინოდი და ალბათ ეს ავტორსაც ასე სწადდა. საერთოდ ეს კაცი უფრო დასრულებული და დამაჯერებელი ტიპია, ვიდრე, ვსთქვათ, არზაყან ზვამბაია.

რა მოხდა? კაც ზვამბაია შეუგნებლად შეხვდა ახალ ცხოვრებას, დაიბნა, მაგრამ რომანში იგი კლასობრივ მტრად არ გვივლინება და მიკვირს — რატომ აღმართა კომკავშირელმა არზაყანმა მაუზერი იმ მამის წინააღმდეგ, რომლის გარდაქმნაც შეიძლებოდა?! კიდევ უფრო გავოცდი, როცა ეს სტრიქონები წავიკითხე: „არზაყანმა ხურჯინი შინ მიიტანა და ისევ ძაბულის დაუჯდა საწოლთან“. მე ვერ წარმომიდგენია ისეთი კომკავშირელი, რომელიც მამის ძვლებით სავსე ხურჯინს კარებთან მიაყუდებს და ქალწულის სარეცელს მიაშურებს. რბილად რომ ვსთქვათ, ეს ადგილი რომანში ყალბია. აქ რეალიზმის ნატამალიც არ არის.

ძალიან სასურველია არზაყან ზვამბაია ახალ გამოცემაში უფრო სხვანაირი გვეხილოთ.

გაჭიანურებულად მიმაჩნია თარაშ ემხვარის დღიურები და „ბარათები მახვშის კოშკიდან“.

მიუხედავად შემჩნეული და შეუმჩნეველი ნაკლისა, ჩემთვის უდავოა რომანის დიდი მხატვრული ღირსება.

ვ. ჯავახიშვილი

სადაა სიყალბის სათავე?

პასუხი კ. ჭიჭინაძეს

„ლიტ. საქართველოს“ № 11-ში დაიბეჭდა კ. ჭიჭინაძის წერილი „სიყალბის სათავე“.

წერილის ავტორის მიზანია დაამტკიცოს ცნობილი მეცნიერის და ლიტერატორის განსვ. ალექსანდრე სარაჯიშვილის, როგორც კრიტიკოსის, მავნებლობა პოემის ტექსტის დადგენის საკითხისათვის.

ამ წერილში მე მსურს მხოლოდ ორიოდე სიტყვით ვამხილო კ. ჭიჭინაძის საზღვარს გადასული სილაღე.

იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი და მოახდინოს მასზე თავისთვის სასარგებლო წუთიერი შთაბეჭდილება ჩემი აზრების გაქარწყლებით განსვ. ალექსანდრე სარაჯიშვილის დამსახურების შესახებ „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის გაწმენდის საქმეში, კონსტანტინე ჭიჭინაძე ჩემი დასკვნების ამოწერის დროს სწყვეტს მათ და მრავალ წერტილს სვამს სწორედ იქ, სადაც იწყება ფრაზა:

> ... „მის მიერ აღმოჩენილი 145 ჩანართი ხანითგან, როგორც ეს ამჟამად შეინიშნება, თითქმის უმეტესობა, ყალბად მისაჩნევია“.

ამხაირად, იგი ამონაწერიდან უშვებს ისეთ ფრაზას, რომელიც აშკარად მოწმობს, რომ მე ნაწილობრივ მაინც ვშორდები ჩემი შეხედულებით ალექსანდრე სარაჯიშვილის მსჯელობას პოემის ჩანართთა შესახებ.

თავის თავად ცხადია, თუ რა უნდა ეწოდოს ასეთ საქციელს.

კ. ჭიჭინაძე ეხება ალექსანდრე სარაჯიშვილის მსჯელობას ჩანართთა შესახებ და ასეთ რამეს ჰკადრულობს:

> „ეს მართლაც და „ვეფხის-ტყაოსნის“ შემრყვნელი ლაფში სვრის და ათახსირებს დიდებული პოემის ყოველ ტაეპს, რომელიც მის ჭკუას არ უჯდება, თანაც ულაზათოდ ოხუნჯობს“ და სხვა.

თვით კ. ჭიჭინაძე კი ასე სწერს:

> ... „გგონიათ, რომ საფლავიდან წამომდგარა 23 საუკუნის წინათ მიცვლილი ზოილი და ჰომიროსისათვის რომ ვერ მიუგნია, რუსთველს დასტაკებია, მაგრამ ძველმა ბერძნებმა ზოილის (როგორც ამ შემთხვევაში პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ ალექსანდრე სარაჯიშვილის) სახელი სამარცხვინო ბოძზე გააკრეს!“

ამონაწერი კომენტარიებს არ საჭიროებს! აქ გვინდა მხოლოდ ყურადღება მივაქციოთ კონსტანტინე ჭიჭინაძის წერის მანერას:

> „ორმოციოდე წლის წინათ (?!) ჩვენში მოღვაწეობდა ერთი მეცნიერი.., დღესაც ბევრს ახსოვს ის აღშფოთება, რომელიც ალექსანდრე სარაჯიშვილმა,—ეს იყო ამ „მეცნიერის“ სახელი,—იმდროინდელ მკითხველთა წრეში გამოიწვია“...

გამოდის, რომ „ვიღაც“ ალექსანდრე სარაჯიშვილი არის მეცნიერი ბრჭყალებში.

> „მეცნიერად აღიარებულ მკვლევართა თაობაზე სარაჯიშვილმა უდიდესი გავლენა მოახდინა:... ყველაზე უფრო თავგამოდებული და, ასე ვთქვათ, ორთოდოქსი მიმდევარი ი. აბულაძე ხშირად ემყარება მის ავტორიტეტს.. ადიდებს თავის მასწავლებელს“ და სხვა.

დავანებოთ თავი იმას, იყო თუ არა ალექსანდრე სარაჯიშვილი ჩემი მასწავლებელი, თუმცა კ. ჭიჭინაძის გარდა ჯერჯერობით ეს არავინ იცის. მე მხოლოდ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავ, თუ ვინ იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი.

უპირველესად ყოვლისა, ვიმოწმებ, ირიდიონ სანდულაშვილის მიერ შედგენილ ალექსანდრე სარაჯიშვილის მოკლე ბიოგრაფიას.

ვინ იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი?

> „ის, ვინც არ კმაყოფილდებოდა თავისი კერძო ცხოვრებით და მხურვალე მონაწილეობას იღებდა საზოგადო საქმეებში. ა. ს. იყო 1879 წლიდან სხვადასხვა ქართული კულტურულ - განმანათლებელი საზოგადოების წევრი, დამაარსებელი, ქართულ ჟურნალ - გაზეთების მუდმივი წევრი-თანამშრომელი, მრავალი საყურადღებო კრიტიკული წერილის ავტორი. 1881 წელს, ი. ჭავჭავაძესთან და პ. უმიკაშვილთან ერთად, მე-12 საუკუნის ქართული საერო მწერლობის უშესანიშნავესი ძეგლის „ვისრამიანის“ რედაქტორ - გამომცემელი, იუმორისტული ხასიათის წერილების ავტორი და ფრანგული ენიდან მოთხრობების მთარგმნელი. საქართველოს წარსულის ნაშთთა დიდი მოყვარული, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი დამაარსებელი, რომლის დაარსების დღიდან, მუზეუმბიბლიოთეკის გამგედ დანიშნული. მას ხელი არ შეუჩერებია, დაუღალავად იღვწოდა: იკვლევდა ხელნაწერებს, კითხულობდა რეფერატებს საზოგადოების კრებებზე და ათავსებდა მათ ამავე საზოგადოების კრებულში „ძველ საქართველო“-ში. მუზეუმს მუდამ ამდიდრებდა და ამშვენებდა და, როგორც პირმშო შვილს, ისე შეჰხაროდა. ყოველი მუზეუმში შემოსული ნივთი აღტაცებასა ჰგვრიდა, ყოველთვის სახე უღიმოდა და უბრწყინავდა, როცა მუზეუმს რამე ემატებოდა. უანგარო, უჩინარი მოღვაწე, საქმეს საქმისთვის აკეთებდა და არა სახელისათვის. მისი უზომო ენერგიისა და უნარიანობის მეოხებით მოპოვებულ იქნა საისტ. და საეთნოგრაფ. საზოგადოების ხელნაწერების და სიძველეთა უმდიდრესი კოლექციები, რომლებიც ეანდერძა „საქართველოს მუზეუმს“ (ირიდიონ სანდულაშვილი: „ძველი საქართველო“, ტ. 4, ალ. სარ. ნეკროლოგი).

ასეთი იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი. იგი არ იყო ქედმაღალი, თავხედი და მყვირალა, იგი იყო ნამდვილი მეცნიერი, რომელსაც დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევა-ძიების უნარი შესწევდა.

რადგან სიტყვამ მოიტანა, ვაცხადებ, რომ დიაღაც ხშირად ვემყარები ალექსანდრე სარაჯიშვილის ხსენებულ ნაშრომს და თანაც პატივით ვიხსენიებ მას.

სარაჯიშვილის ღვაწლი დაუფასებელია.

შეიძლება ვსცდები, მაგრამ მე ძველი რუსთაველოლოგი ვარ და დღემდის ვერ შევრიგებივარ, რომ კ. ჭიჭინაძე ასე უდიერად იხსენიებს მას.

კ. ჭიჭინაძე ბოროტი ზოილის სახელით ნათლავს რუსთველის იშვიათ თაყვანისმცემელს ა. სარაჯიშვილს. ზოილი ხომ ზომას გადასულ სიბოროტეს იჩენდა ჰომიროსის მიმართ. სად ზოილი და სად ალ. სარაჯიშვილი-!

სარაჯიშვილი, პირიქით, ყველაფერს კარგს ხედავდა შოთას ნამდვილ შემოქმედებაში და, როგორც ასეთი, იგი ვერ შერიგებოდა იმ აშკარად ყალბ, ტლანქ და უგვან ხანებს, რომლებიც ჩვენამდი მოღწეული ძალზე დაზიანებული პოემის ხარვეზების შესავსებად შეუთხზავთ, როგორც პოემის ადრინდელ რესტავრატორს, ისე მოგვიანო, მე-16—17 საუკუნეთა ფეოდალური სულით გაჟღენთილ მდივანმწიგნობრებს.

ა. სარაჯიშვილი ღრმად გრძნობდა, რომ პოემის ჩვენამდი მოღწეული უნიკუმი ხელნაწერით ნაანდერძევი ტექსტი ძალზე წარყვნილი იყო და რუსთველისადმი უზომო სიყვარული და არა ზოილისებური კრიტიკოსის სისასტიკე-სიბოროტე იწვევდა მასში ყალბი ხანებისაგან წარყვნილი პოემის ტექსტის გასუფთავების სურვილს, და რა ვუყოთ მერე, თუ მას კვლევა-ძიების დროს შეცდომებიც მოსდიოდა?! სარაჯიშვილს ბევრი კარგი მოსაზრებაც მოეპოვება, რასაც გრძნობდა და დღესაც გრძნობს ყველა ნამდვილი რუსთველოლოგი.

ჩვენი მეცნიერული კვლევა - ძიება ადვილი არ არის: ნამდვილისა და ჩანართის გამოცნობისათვის საჭიროა პოემის სულისა და მიმართულების შესწავლა, ამისთვის კი საჭიროა მკვლევარის მთელი სიცოცხლე, რადგან მან უნდა იცოდეს შემდეგი:

1) ირანული ენა, 2) პოემის ენა და სტილი და საერთოდ ენის ნორმები და 3) ის მრავლისაგან უმრავლესი ხელნაწერები, რომლებიც მოიპოვება ჩვენს საგანძურებში.

პროფ. იუსტინე აბულაძე

ძმობისა და მეგობრობის დემონსტრა

აგვისტოს მეორე დეკადა დაუვიწყარი დარჩება საქართველოს დედა - ქალაქის მშრომელთათვის — ტფილისს ეწვიენ მოძმე სომხეთის ხელოვნების მუშაკნი.

ხუთ დღეს გრძელდებოდა სომხეთის ხალხური შემოქმედების საუცხოვო მიღწევათა ჩვენება, და ეს ხუთი დღე იყო განუწყვეტელი ტრიუმფი ლენინ - სტალინის ნაციონალური პოლიტიკისა, რომელმაც ამიერკავკასიის ხალხებს შეუქმნა სოციალისტური კულტურის და ხელოვნების აყვავების უდიდესი შესაძლებლობა.

ჩვენი სტუმრების ყოველი გამოსვლა მოწმობდა ამიერკავკასიის ხალხთა დაურღვეველ ძმურ. მეგობრობას, მათ ინტერნაციონალურ შემჭიდროებას, გაგებას იმ გზისას, რომელითაც შეუჩერებლად წინ მიდის სომხეთის და საქართველოს განთავისუფლებული ხელოვნება.

ძლევამოსილებით და უდიდესი სიხალისით გაისმოდა ერევნის სახელმწიფო კონსერვატორიის გუნდის მიერ შესრულებული სიმღერა „სალამი ბელადს“, სიმღერა, რომელიც ხიბლავს მსმენელთ უაღრესი გულწრფელობით და შესანიშნავი სისადავით გამოხატავს სომხეთის ხალხის გულითად სიყვარულს დიდი **სტალინისადმი.**

უსმენთ ამ სიმღერას, მის უნაკლო შესრულებას და სავსებით დამსახურებულად მიგაჩნიათ ის მაღალი შეფასება, რომელიც სომხეთის სახელმწიფო კონსერვატორიის გუნდს (ხელმძღვანელი **ტატულ ალტუნიანი**) მისცა მუსიკალურმა საზოგადოებრივობამ მომღერალთა გუნდების სრულიად საკავშირო ოლიმპიადაზე. ამ გუნდის ყოველი გამოსვლა ტფილისის ესტრადებზე უტყუარი ოსტატობის! ნამდვილი ხალხური შესრულების ნიმუშებს წარმოადგენდა.

სისადავით და ლირიზმით,
რულობით და იუმორით ბრ
დნენ მრავალფეროვანი სიმ
სომხეთის ხალხისა, იმ ხალხის
მელმაც საუკუნეების მანძილ
რთველ ხალხთან ერთად
დიდი ისტორიული გზა,
ერთად იყო ჭირსა და ლხინშ
თან ერთად იბრძოდა და
ჯავებდა.

ძვირფასი სტუმრების
კონცერტს დაესწრო საქარ
და ამიერკავკასიის ბოლშ
სასიქადულო ხელმძღვანელ
ლავრენტი ბერია

მომღერალთა გუნდმა და
დარბაზმა საყვარელ ხელმძ
აღფრთოვანებული ოვაციებ
მართა.

სომხეთის ხელოვნების მ
სტუმრობა ჩვენს დედა - ქ
და ტფილისის მშრომელთა
ბილი ძმური დახვედრა
გორც ამას წინათ სომხეთის
ულ და კომკავშირულ
დელეგაციის ტფილისში ჩ
და ამხ. ბერიასაგან, აგრეთვე
თველოს პარტიული ორგან
ზისა და მთავრობის ხელმძღ
ბისაგან მათი მიღება ც
ა-კ. ხალხების უდრეკ ძმურ
რობას, რომელსაც ვერ შ
ინტერნაციონალურ ძმობის
ვერავითარი მუხანათობა.

მტკიცდება და ფარ
ამიერ - კავკასიის ხალხთა
რობა. იგი ემყარება ამ ხალ
ლიტიკურ და ეკონომიურ
ნათა განუყოფლობის შეგნ
განმტკიცებულია მათი საერ
ლით და გამარჯვებით, იგი
ლია სტალინის გზით კომუ
კენ მიმავალი ხალხების სი
ში, მწერლობაში, ხელოვნ

პროფ. გრიგოლ წერეთლის ახალი შრომა*)

ბერძნული ტრაგედია

ევრიპიდემ ღირსება აჰყარა ოლიმპს, ღმერთების სამყაროს—თითონ მოუწყობლად არსებობენ, სხვას რას მოუწყობენო, მაგრამ ვერ აამაღლა ადამიანი ისე, რომ ყველაფრის საზომი ძალა ყველაფრის შემცვლელ და გარდამქმნელ ძალად გამოეყვანა. ერთი და იგივე ფილოსოფიური მიმართულება—სკეპტიციზმი კაცობრიობის ისტორიაში სათავედ უძღვოდა სხვადასხვა დროს მომქმედ ოპტიმისტურ სულისკვეთებას და უმწეო პესიმისტურ განწყობილებას.

დასახელებულ შრომაში ნაკლებად ვხედავთ შეჩერებას სოციალურ პირობებზე და მკითხველს არ ეძლევა ახსნა იმ პესიმიზმისა, რომელსაც წარმოადგენდა ევრიპიდე. მკითხველი იტყვის მხოლოდ, რომ ამ პესიმიზმის ასახსნელად არა კმარა მისი წარმომადგენლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. დაუკმაყოფილებელი დარჩება მკითხველი იმ ახსნით, რომელსაც გაკვრით იძლევა ჩვენი მეცნიერი: „ევრიპიდე გვევლინება აშკარა პესიმისტად, ასეთად შექმნა არა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელმა სიფხიზლემ ცხოვრების ბნელი მხარეებისადმი, არამედ აგრეთვე მსოფლიო პროცესის რაობის უშუალო დაკვირვებამ, ჭეშმარიტება უსასყიდლოდ არ მიეცა ევრიპიდეს, მან მოწამლა იგი მის საიდუმლოებათა გამჟღავნებისათვის და მის პოეზიას მელანქოლიისა და მწუხარების ელფერი მისცა“ (324, 325).

პესიმიზმი არ შეიძლება იყოს აუცილებელი შედეგი სიფხიზლისა და უშუალო დაკვირვებისა. ჩვენ ვიცით მსოფლიო მწერლები დიდი ოპტიმისტური სულისკვეთებით, და ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი სიფხიზლეს ვერ იჩენდნენ ცხოვრების ბნელი მხარეებისადმი და უშუალოდ ვერ უკვირდებოდნენ სინამდვილეს. საქმე იმაშია, რომ ცხოვრების ბნელ მხარეებს თან ახლავს ნათელი მხარეებიც და ვინ როგორ შეიგრძნობს, ვინ როგორ შეიცნობს, ვის როგორი სულისკვეთება მიეცემა, ეს დამოკიდებულია უკვე სოციალურ პირობებზე.

ჭეშმარიტება თავისთავად არ არსებობს, —სოფიზმისა და სკეპტიციზმის ხანა სწორედ ამ დასკვნამდე მიდიოდა. ამით საზრდოობდა ევრიპიდის პოეზია, და ჩვენ არ ვიცით ის განყენებული ჭეშმარიტება, რომლის საიდუმლოებათა გამომჟღავნებით მოიწამლა იგი.

ასეთი მოწამვლის შედეგი უნდა ყოფილიყო გასვლა სინამდვილისგან, და ევრიპიდეს გამოსავლად მიაჩნდა ბუნებრივი სიკვდილი. ამ სულისკვეთებისთვის კი მესაფერისი იქნებოდა უაღრესი პასივობა, ე. წ. ნირვანა.

რით აიხსნება, რომ ევრიპიდეს აკლდა ეს თანმიმდევრობა და მისი პოეზია აქტიურად ერეოდა თავისი დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში? ცხოვრების ბნელ მხარეებში ევრიპიდემ შეამჩნია ის ნათელი მხარე, რომ „ყველაზე ძვირფასია თავისუფალი მერქვას, რადგან თავისუფლება თუ გაქვს, ღატაკსაც კი შეგიძლია თავი მდიდრად ჩასთვალო“ (328). როგორ მოხდა, რომ „ბუნებრივი სიკვდილის“ იდეოლოგმა ევრიპიდემ წამოაყენა თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგია? „ის სცნობს თანამოქალაქეთა შორის ქონებრივი სხვაობის მნიშვნელობას“ და „ამასთანავე ერთად კაპიტალის ბატონობა ღარიბებზე არ სურს, მას უნდა, რომ საშუალო ადგილი ზომიერ კლასს ეჭიროს და მას ეპყრას ხელისუფლების საჭე, იგი იყოს თავისებური შუაკედელი ორ უკიდურესობას შორის“ (იქვე). ევრიპიდე არ იცილებს „სიცოცხლის მძიმე ბარგს“ და დიდი ვნებათაღელვით გამოდის კლასთა ბრძოლის ასპარეზზე, „უცნაურად“ მიაჩნია ადამიანების დაყოფა კლასებად—„კეთილშობილებად“ და „ცუდშობილებად“ (329). ადამიანს იგი აფასებს ღირსებით და არა გვარიშვილობით.., „რა საჭიროა თავის მოწონება გვარიშვილობით, ფულებით, რომ არ

დავემსგავსოთ ღმერთებს, რო
ქველაზე დიდ პატივში იგინი ა
ჩელთა ტაძრებში ყველაზე მეტი
(იქვე).

ეს დემოკრატიული, ჰუმანური
ლოგია ვერ უთანხმდება „ბუნებრ
კვდილის პესიმიზმს, და ამ თანმი
ბის ახსნა არა გვაქვს მოცემულ
ლებულ შრომაში. ამ მხრივ მას
გაანაყოფიერებდა მარქსისტული
რომელიც სამწუხაროდ, ჯერ არ
ანტიური ტრაგედიის პრობლემებ

ტრაგედიის წარმოშობა უშუალ
კავშირებულია მუსიკიდან გამ
საწყისებთან, მაგრამ თითონ ეს
ბი თავიანთი ფესვებით შედიან ს
ურთიერთობაში. ლიტერატურუ
რიულ მეცნიერებას გამოყენებუ
არისტოტელის თეორია და,
ვთქვით, დიდ ზედმიწევნობას
მხრივ ჩვენი ავტორი. საჭიროა
გადადგმა წინ და კვლევაძიების
რება იმ მიმართულებით, რომ
ზედმიწევნობით შესწავლილ იქნა
რი საზოგადოების კლასთა ურთი
გავლენა ტრაგედიის წარმოშობა
როა მარქსისტული ისტორი
არისტოტელი, ყოველივე პრიმიტ
თავისუფალ,ი რომ აწეულ იქნას
ნაყოფიერება ამ მსოფლიო პ
შესწავლაში, რომ სრული დაფა
ცეს იმ ეპოქებიდან გადმოცემუ
ტიკურ ღირებულებებ

ჩვენი მეცნიერის კვლევაძიება
მარქსისტულ ისტორიოგრაფიას,
ეტლი ეტლს ერთსა და იმავე
გზაზე. ერთ ალაგას ის სწერს:

„ამრიგად „ევმენიდებით“ ესქილე
ლიტიკური წყობილების დამცველ
კისრულობს, იგი იმ წყობილებას,
რომელშიაც გაიზარდა მთელმა მის
ცხლემ და ურომლისოდაც მას
მოედგინა თავისი სამშობლოს კე
ობა. ჩვენთვის ეს ფაქტი, სახე
პოლიტიკური რწმენის სცენის საშ
გადმოცემის ფაქტი, მეტის მეტად
ღებრივა და მნიშვნელოვანი, რად
ერთი თვით პოეტის პიროვნების
კვევას უწყობს ხელს, ხოლო
მხრივ ნათლად გვიჩვენებს, რომ
ზნეობრივი იდეალების გარდა,
ტრაგედია მოქალაქეთა განსაზ
კლასის პოლიტიკურ შეხედულება
ცველადაც გამოდიოდა...“ (107—

თვითონ პატივცემული ავტორი
მასალას იძლევა თავის წიგნში იმ
მტკიცებლად, რომ არა მარტო „ზ
და „წმინდა ზნეობრივი იდეალებ
ცვითაც გამოხატავდა ტრაგედია
ლურ ურთიერთობას, კლასთა ინტ
ბრძოლას. საზოგადოებრივი წყო
ბის, მისწრაფებების გამოხატვა--და
ნიშნავს დამცველობას. შეიძლება
ის ტრაგედია, თუ სხვა ნაწარმო
ცველად არ უდგებოდეს ამა თუ
საზღვრულ“ კლასს, მაგრამ გამოხ
იმ იდეოლოგიას, რომელსაც
კლასთა ურთიერთობასა და ბრძ
აქვს თავისი სათავე. კონკრეტულ
ცნიერულად შესწავლილ მასალაზე
რმა დაგვანახვა, რომ სხვა
არა ჰქონდა იმ „წმინდა“ ღირ
ბებს, რომლებსაც კლასთა ბრძო
თავიდან მიეცათ საუკუნეების გა
ბაში უკლასო-საკაცობრიო მნიშვნ

მარქსისტული ისტორიოგრაფია
ჭდება პრიმიტიულობას, თუ ის
კრძნო კონკრეტულ მასალას. ბ
ლიტერატურის ისტორია ასეთი
ასეთი კონკრეტულობით შესწ
ჩვენ აქამდის არ გვქონია ქართულ
იგი საყურადღებო მოვლენაა რუს
ზედაც. რუსული ხელთნაწერიდან
გადმოთარგმნილი ეს შრომა. თარგ
არის დაბალი ღირსებისა,
ვგრძნობთ, რომ იგი მეტ შთაბეჭ
უნდა ახდენდეს იმ ენაზე, რომე
ავტორს დაუწერია.

---

*) დასასრული. იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 13.

პ.-მ. რედაქტორი აკ. თათარიშვილ
პ.-მგ. მდივანი ნიკოლოზ ჩა

ხ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“ კამო. ქ. № 68

მთავლიტი № 7025